603 / 13.833

№ 77 (11 226)

29 სექტემბერი – 1 ოქტომბერი, 1998 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

აქტუალური თემა

# სტამბულის ბაზარზე ისევ ჰყიდიან ქართველ ყმაწვილებს, ამჯერად ფეხბურთელებს

ამას აკეთებენ ჩვენი ფეხბურთის მამები და ეს მაშინ, როცა ჩვენი ყმაწვილების ერთი ჯგუფი, ამ მეზობელ ქვეყანაში, ორ თვეზე მეტია საპყრობილეში ჰყავთ გამომწყვდეული. ფეხბურთელ ჯამარაულზე კი უსირცხვოდ გვევაჭრებიან...

# ოთარ შენგელია აცხადებს: გაყიდული ქართველი ბავშვები მამლუქებად იქცნენ

მრავალჭირნახულ ქართულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი ხანა იწყება – მომავალ თვეში, თუ საშველი დაადგა, საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. 23 ოქტომბრამდე სავარძლისათვის მებრძოლი პირები, მხარეები, ალიანსში მყოფი ძალები, ყველა ღონეს ხმარობენ საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად და, შესაბამისად, ოპონენტთა ყოველი შეცდომის, გნებავთ, სისუსტის გამოყენებას. ამ დავასა თუ პოლემიკაში კი, პირველ რიგში, ქართული ფეხბურთის ინტერესები ილახება.

გასულ კვირას ჩვენს ფეხბურთში მორიგმა სკანდალმა იფეთქა და რაოდენ სამწუხაროა, იგი თურქეთში ნორჩთა გაყიდვას უკავშირდება. არა, მაინცდამაინც თურქეთზე არა გვაქვს გართულება, თუმცა „ტრაბზონსპორის“ თავგასული ხელმძღვანელების თავხედური მოქმედება გოჩა ჯამარაულის მიმართ და ექვსი პატარა ქართველის აქამდე საპატიმროში გამომწყვდევა, რაღაც დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა. აქ ლაპარაკია თვით პრეცედენტზე, ფაქტზე – თუ მას სათანადო შეფასება არ მიეცა, ისედაც დაჩაჩანაკებულ, დაუძლურებულ ჩვენს ფეხბურთს ის ერთადერთი წყარო მოაკლდება, რომლითაც იგი საზრდოობს და სულდგმულობს. თუმცა, სჯობს დასკვნები თავად მკითხველმა გამოიტანოს.

ეს ნახევრადდეტექტური ისტორია დასაბამს მას შემდეგ იღებს, როცა ფინანსურ გაჭირვებაში ჩავარდნილ 35-ე საფეხბურთო სკოლას დახმარების ხელი გაუწოდა თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბმა – ამ ორ სუბიექტს შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. „დინამო“ სკოლას ფინანსურად დაეხმარა, სამაგიეროდ, მისი აღსაზრდელები ჩვენი ქვეყნის უძლიერესი გუნდის ფარმ-კლუბ „დინამო-2“-ში ჩაირიცხნენ.

ასე მოხვდა იქ 35-ე სკოლის სამი მეთერთმეტეკლასელი – ბობოხიძე, თავბერიძე და სირაძე. დროთა განმავლობაში პირველი ორი „დინამო-2“-ს ამ ზაფხულამდე შემორჩა და ოფიციალურად სხვა ფეხბურთელებთან ერთად იღებდა დადგენილ გასამრჯელოს. თითქოსდა, კმაყოფილი იყო ყველა: ჭაბუკები, რომ საქართველოს უძლიერეს გუნდში მოხვედრის შესაძლებლობა მიეცათ, ოთარ შენგელია – 35-ე სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი – შრომა დაუფასდა და მის აღსაზრდელებს თავის გამოჩენის საუკეთესო შანსი მიეცათ.

ასე გაგრძელდა მიმდინარე წლის მაისამდე, სანამ „დინამოში“ სხვა მთავარი მწვრთნელი მოვიდოდა – რუსეთში გამგზავრებული დავით ყიფიანი მურთაზ ხურცილავამ შეცვალა. სწორედ ამ დროს წავიდა გუნდიდან „დინამო-2“-ის ხელმძღვანელი ზურაბ მაისურაძეც. გავიდა ორიოდე თვე და კლუბის ახალმა მწვრთნელებმა ჭაბუკთა ქცევაში რაღაც ცუდი იგუმანეს, დააკვირდნენ, მერე საქმის ვითარება აუწყეს სკოლის მწვრთნელს ოთარ შენგელიას. ამ უკანასკნელმა ფეხბურთში ჭიპმოჭრილმა ადამიანმა (ტყუილად კი არ ანდეს ქვეყნის 16 წლამდე ჭაბუკ

იხ. მე–4 გვ.

სიახლე • უფრო დაწვრილებით

# ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ფიბა-ს ახალი წესებით დაიწყება



კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

ამას წინათ ჩეხეთში გაიმართა ევროპის ქვეყნების კალათბურთის კომისართა X საერთაშორისო სემინარი, რომელშიც FIBA-ს მიწვევით საქართველოდან მონაწილეობდა საერთაშორისო არბიტრი მურმან ქურიძე, რომელმაც ამ დღეებში სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მოიწვია მწვრთნელები, მსაჯები, მოთამაშეები და გააცნო წესების ის ცვლილებები, რომელიც შემოღებულია 1998-2002 წლებში. მათთვის, ვინც ვერ დაესწრო ამ სემინარს, ასევე კალათბურთის გულშემატკივართათვის, ვაქვეყნებთ მ. ქურიძის მიერ რედაქციაში მოწოდებულ FIBA-ს წესებში შეტანილ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც ჩატარდება საქართველოს კარსმომდგარი ეროვნული ჩემპიონატი და ყველა სხვა შეჯიბრებები:

**1.** შეხვედრის მეორე ნახევრის ბოლო ორ წუთში, ასევე დამატებითი პერიოდის განმავლობაში, ბურთის ჩაგდების მომენტიდან დროის ათვლა ჩერდება და გაგრძელდება მაშინ, როდესაც პირითი ხაზიდან გამოტანილი ბურთი, რომელიმე მოთამაშეს შეეხება მოედანზე.

მოთამაშის შეცვლა ამ პერიოდში აკრძალულია.

**2.** მეორე ტაიმის განმავლობაში გუნდების მწვრთნელებს შეუძლიათ აიღონ სამი წუთშესვენება, ნაცვლად ორისა;

**3.** სამი წამის ათვლა (რომლის მეტი შემტევი გუნდის მოთამაშეს არ აქვს უფლება დაყოვნდეს მოწინააღმდეგის ფარის ტრაპეციაში) უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც თამაშში შეყვანილი ბურთი შეეხება მოთამაშეს მოედანზე (ადრე სამი წამის ათვლა იწყებოდა იმის მიუხედავად, თუ სად იყო ბურთი);

**4.** ორმხრივი ჯარიმის დროს, გუნდი, რომელიც ფლობდა ბურთს სასტვენამდე შემოიტანს თამაშში პირითი ხაზიდან. იმ შემთხვევაში თუ ორმხრივი ჯარიმის დროს არც ერთი გუნდი არ ფლობდა ბურთს, ინიშნება სადავო გდება;

**5.** ყველა დამატებით პერიოდში გუნდები უტევენ იმ კალათის მიმართულებით, როგორც მეორე ნახევარში. თუ გუნდებმა არასწორი მიმართულებით დაიწყეს დამატებითი პერიოდის გათამაშება, მსაჯი ვალდებულია გააჩეროს თამაში და შეცვალოს გუნდების მოედანი. ყველაფერი რაც მოხდა ამ პერიოდში ითვლება;

**6.** პერსონალური კონტაქტის დროს არბიტრი ვალდებულია იხელმძღვანელოს პრინციპით — „არ არის ზიანი, არ არის პერსონალური ჯარიმა“;

**7.** თუ მოთამაშე განზრახვით ჩააგდებს ბურთს თავის კალათში, ეს ჩაგდება არ ჩაითვლება. ბურთი გადაეცემა მოწინააღმდეგეს. ტექნიკური ჯარიმა ამ დროს არ დაინიშნება. თუ მოთამაშემ შემთხვევით ჩააგდო ბურთი თავის კალათში, ქულა ოქმში ეწერება მოწინააღმდეგე გუნდის კაპიტანს;

**8.** ბურთის გდება სამქულიანი ხაზის გარედან იცვლის სტატუს და ხდება ორქულიანი მას შემდეგ რაც ბურთი:

**ა)** შეეხება მოედანს ორქულიან ზონაში,

**ბ)** შეეხება ორქულიან ზონაში მყოფ მოთამაშეს,

**გ)** კალათიდან ატყორცნილ ბურთს შეეხება მოთამაშე. (ადრე — „ა“ შემთხვევა წესებში მოხსენიებული არ იყო, „ბ“ შემთხვევაში ითვლებოდა 3 ქულა, „გ“ წესი ადრეც არსებობდა);

**9.** შემოდის ცნება „არასპორტული ტექნიკური ჯარიმა“, რომლითაც ისჯება არასპორტული ტექნიკური ქმედება და აგრეთვე არაკორექტული მოქცევა არბიტრთა მიმართ. საჯარიმო სროლის ან სროლების შემდეგ ბურთი ამავე გუნდს შემოაქვს ცენტრალური ხაზიდან.

რაოდენობა დანიშნული საჯარიმო სროლებისა უნდა იყოს შემდეგი:

იხ. მე–5 გვ.

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ჯგუფი VIII ტური

**დინამო (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 1-1**

**გურია (ლანჩხუთი) — ლოკომოტივი (თბილისი) 0-4**

**დილა (გორი) — იბერია (სამტრედია) 2-1**

**სამგურალი (წყალტუბო) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 1-3**

**მერანი-91 (თბილისი) — ოდიში (ზუგდიდი) 0-1**

**გორდა (რუსთავი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0**

**სიონი (ბოლნისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1-1**

**არსენალი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 0-2**

### სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | (-) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 5 | 2 | 0 | 20-7 | 17 | (-4) |
| დინამო (თბ) | 6 | 5 | 1 | 0 | 26-5 | 16 | (-2) |
| დილა | 8 | 5 | 1 | 2 | 11-7 | 16 | (-8) |
| ლოკომოტივი | 8 | 4 | 4 | 0 | 13-4 | 16 | (-8) |
| იბერია | 8 | 4 | 0 | 4 | 17-17 | 12 | (-12) |
| დინამო (ბთ.) | 8 | 3 | 3 | 2 | 17-10 | 12 | (-12) |
| კოლხეთი-1913 | 7 | 3 | 2 | 2 | 12-9 | 11 | (-10) |
| ვიტ-ჯორჯია | 8 | 3 | 1 | 4 | 10-9 | 10 | (-14) |
| ოდიში | 7 | 3 | 0 | 4 | 5-11 | 9 | (-12) |
| მერანი-91 | 8 | 2 | 3 | 3 | 7-11 | 9 | (-15) |
| არსენალი | 8 | 2 | 3 | 3 | 5-12 | 9 | (-15) |
| გურია | 8 | 2 | 1 | 5 | 8-19 | 7 | (-17) |
| სამგურალი | 8 | 2 | 1 | 5 | 6-18 | 7 | (-17) |
| გორდა | 7 | 1 | 4 | 2 | 5-5 | 7 | (-14) |
| თსუ | 8 | 1 | 2 | 5 | 4-11 | 5 | (-19) |
| სიონი | 8 | 1 | 2 | 5 | 10-21 | 5 | (-19) |



# ემუქრება თუ არა მსოფლიო ფეხბურთს განხეთქილება?

თუ ფიფას ახალი პრეზიდენტის ბლატერის პოზიციას გავითვალისწინებთ, ეს საშიშროება ნამდვილად არსებობს და განგაში ფიფას წინამძღოლს უსაფუძვლოდ არ აუტეხია.

როგორც ადრე გაუწყეთ, დღის წესრიგში დადგა ევროპის სუპერლიგის შექმნა, სადაც კონტინენტის 18 უძლიერესი გუნდი ითამაშებს. პირველი ასპარეზობის გამართვა ნავარაუდევია 2000-2001 წლებში.

ბლატერმა განაცხადა „თუ გაგრძელდება მოძრაობა ევროლიგის შექმნისთვის, ფიფა აუცილებლად მოძებნის ალტერნატიულ გზებს, რათა საფეხბურთო სამყარო არ გაიხლიჩოს. ახლა ყველაფერს ზუსტად ვერ გეტყვით. მხოლოდ ის შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენ იძულებული გავხდებით, შევუჩეროთ ფიფა-ს წევრობა იმ ქვეყნების ეროვნულ საფეხბურთო ასოციაციებს, რომელთა კლუბებიც ევროლიგაში თამაშს მოისურვებენ. შესაბამისად, დისკვალიფიკაცია გავრცელდება როგორც კლუბებზე, ასევე მოთამაშეებზეც“.

ფიფას აღმასკომი ამ თემას ოქტომბერში დაგეგმილ აღმასკომის სხდომაზე დაუბრუნდება.

ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე კვირას დაიწყო ქალთა თბილისის მეორე საერთაშორისო ტურნირი. საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში 16 წყვილმა იასპარეზა. ნინო ესებუა დამარცხდა იულია კრიუკოვასთან (რუსეთი) 0:3, 2:6; ანა ჩაჩუა — ეკატერინე სისოევასთან (რუსეთი) 3:6, 3:6; სოფო მანაგაძე — ვერა ქუკოვეცთან (რუსეთი) 2:6, 0:3 — მეორე ტურში ქართველი ჩოგბურთელი ტრავმის გამო გამოეთიშა ტურნირს; თამარ კიკალეიშვილი — ინეს ჰეისთან (გერმანია) 6:7, 6:4, 4:6; თამარ ზედგინიძე — პოლინა გალანინასთან (რუსეთი) 3:6, 7:6, 4:6. მიუხედავად ასეთი უიღბლო დასაწყისისა, ჩოგბურთის გულშემატკივრებს სჯერათ, რომ სამშაბათიდან, როდესაც ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ჩაებმებიან, ქართველები ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევენ სტუმრებს და მათ გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე იხილავენ.

## რეიტინგი

ვაგრძელებთ „ლელოს“ გამოკითხვის შედეგების მიხედვით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა რეიტინგს. შეგახსენებთ, რომ რეიტინგი ქვეყნდება ყოველი 100 რესპოდენტის აზრის გათვალისწინებით (რედაქციაში შემოსული წერილები, ტელეფონით შეტყობინება, აგრეთვე რედაქციიდან ტელეფონით გამოკითხვა.)

სექტემბრის მეორე კვირისგან განსხვავებით, აქტივობა მესამე კვირაში საგრძნობლად გაიზარდა, წამოვიდა წერილების ნაკადიც, ახლა მეტწილად ჩვენ გვირეკავდნენ რედაქციაში და შესაბამისად იკლო რედაქციიდან სატელეფონო ზარებმა. გამოკითხვაში ჩართულია სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, განსაკუთრებით აქტიურობს საშუალო თაობა, მეტწილად ფეხბურთის თავგამოდებული ქომაგები.

კითხვაზე „თქვენ ვის დაუჭერდით ხმას და რატომ?“ გულშემატკივართა პოზიცია პასუხის იდენტურობის მიხედვით დავაჯგუფეთ. ახლა შემოგთავაზებთ რამდენიმე ამონაწერს რედაქციაში მიღებული წერილებიდან, რო-

იხ. მე–3 გვ.

## დინამო (თბილისი, საქართველო) – ვილემ–II (ტილბურგი, ჰოლანდია)

**29 სექტემბერი, 19:30, თბილისი, ბ. პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი.**

როცა „დინამომ“ პირველ მატჩში სასტიკი მარცხი იწვნია, ქართველი გულშემატკივრების ნაწილს იმედი გადაეწურა — ჰოლანდიელთა სამბურთიანი უპირატესობის გაბათილებას ვერ შევძლებთო. თუმცა, ასე არ ფიქრობენ „დინამოს“ მწ-

იხ. მე–5 გვ.

UEFA CUP

უეფას თასი 1/32 ფინალის განმეორებითი მატჩი

# დათო პოლოსიანი: საქართველოს ფალავნებს ლერი ხაბელოვისა გვეიმედება

თავისუფალი სტილით მოჭიდავე დათო პოლოსიანი ნიჭისა და ოსტატობის გარდა უიღბლობითაც გამოირჩევა. ჯერ იყო და, მოულოდნელად, ატლანტის ოლიმპიადის წინ ნეკნი დაიზიანა და თამაშებში მონაწილეობის ლიცენზია ვერ მოიპოვა. შემდეგ კი დაამტკიცა, რომ მართლაც დიდი მოჭიდავეა და შარშან ევროპის ჩემპიონატიც მოიგო და არაერთი საერთაშორისო ტურნირიც, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის წინ კვლავ ტრავმამ შეუშალა ხელი თავის გამოსაჩენად. წელსაც იგივე დაემართა. სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო. სატურნირო მედლებს ევროპის ჩემპიონატის „ოქრო" მიუმატა, მაგრამ ირანის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ტერფი იტკინა. ტრავმირებული პოლოსიანი ვერც ძველი შემართებით ვარჯიშობდა. ამან ზედმეტი წონაც მოუმატა და ჩემპიონატამდე ერთ კვირაში მოუწია 12 კილოგრამის დაკლება. ამას დაუმატეთ ტერფის ტრავმა და, გასაგები იქნება, თუ რატომ დარჩა კვლავაც მიუწვდომელი დათო პოლოსიანს მსოფლიო ჩემპიონატის სანუკვარი მედალი.

წარსულსა და დაკარგულს რაღა ეშველება. დათოს უიმედობა არ სჩვევია, წყენა და ტკივილი რა ხანია დაივიწყა და ახლა მომავალ სეზონზე და სახვალიოდ მოსაგებ მედლებზე ფიქრობს.

● ***დათო, ალბათ, აღარ ღირს ირანული წარუმატებლობის მიზეზებზე საუბარი.***

— პრესაში ამაზე ბევრი დაიწერა და ახალს მეც ვერ ვიტყვი რაიმეს. ტრავმა მქონდა, არცთუ სერიოზული, მაგრამ მთავარი მაინც წონის დაკლება იყო. გამიჭირდა. ამიტომაც, საჩემპიონატოდ ვერ მოვასწარი ჩვეული ფორმის აღდგენა. ისე, ირანში ხარვეზებითაც ვიჭიდავე და ესეც იყო წარუმატებლობის მიზეზი.

● ***შენმა მწვრთნელმა ნუგზარ სხიერელმა მითხრა, მომავალში დათო 63 კილოში იჭიდავებსო...***

— ამ დასკვნამდე მე და ნუგზარ მასწავლებელი ერთად მივედით. ფაქტია, რომ „გავიზარდე" და მიჭირს 58 კილოგრამამდე და მუდმივად წონის დაკლება. ეს ჩემს სპორტულ ფორმაზეც უარყოფითად მოქმედებს. თითქმის გადაწყვეტილია, რომ 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში გადავალ.

● ***ალბათ გაგიჭირდებათ ახალ წონასთან და ახალ მეტოქეებთან შეგუება...***

— სხვა რა გზაა, უნდა შევეგუო. მეტოქისა არასდროს არ შემშინებია, თანაც თუ ისინი უცხონი არიან ჩემთვის, მეც ხომ უცხო ვარ მათთვის. ჰოდა, მე და ჩემი მეტოქენიც ერთი პრობლემის წინ ვიდგებით. მაშინ ვნახავთ, ვისი აჯობებს. თუმცა, სუსტი მეტოქენი არც 58-ში მყავდა. ეს წონა დღეს ერთ-ერთი გამორჩეულია თავისუფალ ჭიდაობაში.

● ***შენს თანაგუნდელთა ასპარეზობაზე რას იტყვი, ირანში ყველა უმედლოდ დარჩა.***

— თავი არავის დაუზოგავს. ყველამ გულიანად იჭიდავა. მედლებს კი ჩემგან, ელდარ კურტანიძისგან და შაკო ბედინეიშვილისგან ელოდნენ ქომაგები. ელდარი ჩემპიონატამდე 4-ჯერ მოიწამლა, ბოლოს თეირანში, ამიტომ, მისი წარუმატებლობა ერთგვარად ლოგიკურია. ბედინეიშვილმა კი საუცხოოდ იჭიდავა, წესით უმედლოდ არ უნდა დარჩენილიყო, მაგრამ უზბეკ ფალავანთან მოგებული შეხვედრა გაუპროტესტეს და უსამართლოდ გამარჯვება წაართვეს. მართალია, უმედლოდ დავრჩით, მაგრამ ეს არ იყო ტრაგედია, სამომავლოდ, დარწმუნებული ვარ ამგვარი რამ აღარ გამეორდება.

● ***საჭიდაო სეზონი, ფაქტიურად, დასრულდა. სავაისოდ როგორ აპირებ მომზადებას?***

— შარშან, შემოდგომით მოსკოვის ცსკა-ს მოჭიდავეთა კლუბში ვიასპარეზე და ევროპის ჩემპიონთა თასის მოგებაში დავეხმარე რუსებს. წელს აღარ წავალ რუსეთში საერთოდ, არც ერთ კლუბში, თუმცა, შემეძლო, რომ არაერთი კლუბი გამომეძებნა ჩემთვის სასურველი პირობებით. მირჩევნია, შინ, გორში ვივარჯიშო ნუგზარ სხიერელის ხელმძღვანელობით და ინდივიდუალურად მოვემზადო. რასაც წელს ვერ მივაღწიე, გაისად ვგეგმავ იმ მედლების მოგებას.

ერთადერთი ტურნირი, სადაც შეიძლება ვიასპარეზო, მალტის ტურნირია — „ევროპის მცირე ქვეყნების ჩემპიონატს" უწოდებენ ამ შეჯიბრებას. იქაც იმიტომ მინდა გამოსვლა, რომ 63 კილოში მოვსინჯო ძალა, რაც შემდგომში ჩემი სამუშაო გეგმის შემუშავებაში და შესრულებაში დიდად გამომადგება.

● ***გავიგე, ოლიმპიურმა კომიტეტმა სპორტსმენებისკენ გამოიხედა და მათ სტიპენდიები დაუნიშნა. ალბათ, შენც იქნები მათ შორის...***

— კი, მეც ვიყავი ოლიმპიურ კომიტეტში, თანხა არ ვიცი, მაგრამ გარკვეულ თანხას კი მომცემენ. კარგი იქნება, თუ სპორტდეპარტამენტიც ამგვარადვე გამოიხედება ჩვენსკენ. ახლახან, დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ ყოფილი მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი დანიშნეს. ეს მაიმედებს, რომ ჩვენი საქმე უკეთესობისკენ წავა. ბატონი ლერი დიდი მოჭიდავე იყო და არ ესწავლება ფალავანთა გასაჭირი, იცის ვის როგორ ულხინს და უჭირს და ვის როდის რა სჭირდება. ლერი ხაბელოვი ჭიდაობას კურირებს და, მჯერა, ჩვენში ბევრი რამ შეიცვლება სასიკეთოდ.


დავით პოლოსიანი

ესაუბრა გია გიორგაძე

## აჭარა, თბილისი, გორი და სხვები



## ბათუმში კარატეს ოსტატები საერთაშორისო ტურნირზე შეიკრიბნენ

ბათუმმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თასზე, კარატე-დოში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის სპორტსმენთა გარდა მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში ჩაებნენ აგრეთვე სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები, — სულ 150 სპორტსმენი. ასპარეზობა ჩატარდა მაღალ დონეზე, რაშიაც წვლილი მიუძღვის ტურნირის ორგანიზატორებს საქართველოს კარატე-დოს ეროვნულ ფედერაციას და აჭარის სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს.

***ჭაბუკები. 45 კგ:*** 1. დათო შარვაშიძე, 2. ელგუჯა მარგველაშვილი (ორივე – ქუთაისი), 3. ნიკა ქურიძე და ლერი სულამანიძე (ორივე – თბილისი); ***60 კგ-მდე:*** 1. გიორგი გორდაძე (ქუთაისი), 2. იაგო გადელია (ფოთი), 3. ზაქრო გაბისაძე და შალვა ჯაოშვილი (ორივე – ქუთაისი); ***60 კგ:*** 1. გიორგი გოლაშვილი (გორი), 2. ირაკლი ძაგნიძე (ქუთაისი), 3. ვანიკ არუთინიანი (სომხეთი); ***კატა:*** 1. შალვა გორდაძე, 2. იუზა შენგელია, დათო შარვაშიძე (სამივე – ქუთაისი).

***უფროსი ასაკი. 60 კგ-მდე:*** 1. გოჩა სურმანიძე, (ბათ.) 2. ჯონი ბიტკაში (თბ.), 3. რეზო გორდაძე (ქუთ), და ჯონი დიასამიძე (თბ.); ***65 კგ-მდე:*** 1. შალვა მახვილაძე, 2. სოსო ხანთაძე (ორივე – ქუთ), 3. გიორგი ლოცულაშვილი (გორი) და ჯამბულ ვახანია (სენაკი); ***70 კგ-მდე:*** 1. გიგა სააკაშვილი (გორი), 2. ლევან ქოჩარიანი (თბ.), 13. მიხეილ ნადარეიშვილი (ბათ.) და ვიქტორ გოგუა (თბ.); ***75 კგ-მდე:*** 1. ოთარ დოლიძე (თბ.), 2. დათო წულუკიძე (ქუთ.), 3. რობერტ ევანგულიანი (ბათ.) და დავით მწყერაშვილი (თბ.); ***+80 კგ:*** 1.დათო ჟვანია (სენაკი), 2. გარსევან ადამიანი (გორი), 3. რამაზ ჯანაშვილი და ზაზა ბურჯანაძე (ორივე – ქუთაისი); ***კატა:*** 1. შალვა მახვილაძე (ქუთ.), 2. გიორგი ვოლკოვი (გორი), 3. ჯონი ხვიჩია (სენაკი); **გუნდური:** 1. აჭარა, 2. თბილისი, 3. გორი.


მთავარი მასპინძელი — ნოდარ ხაჯიშვილი (დგას) ასპარეზობის ორგანიზატორებთან


შეჯიბრებაში გამარჯვებულები, პრიზიორები, ორგანიზატორები და მსაჯები

## 500 ლარი – გამოსავალი!

**საქართველოს** საკალათბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღე დარჩა და ბოლო მომენტამდე ბევრი რამ გაურკვეველი იყო. ჩემპიონატში მონაწილეობის მსურველთა ნაწილის ერთი პრობლემა აწუხებდათ. ზოგიერთი გუნდი ვერ ახერხებდა საჩემპიონატოდ, მონაწილეობისათვის სავალდებულო 2000 ლარის თავმოყრასა და ფედერაციისათვის გადახდას, მაგრამ, რაც სათუოს ხდიდა ზოგი გუნდის ჩემპიონატში გამოსვლას.

როგორც კალათბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, საბედნიეროდ, ეს პრობლემაც მოგვარებულია. ფინანსურად შეჭირვებულ გუნდებს „ბედ" 500-500 ლარი გადაუხდიათ და დარჩენილ „დავალიანებასაც" ოქტომბრის ბოლომდე დაფარავენ. ერთადერთი, უნივერსიტეტელებს ჰქონიათ ამ მხრივ პრობლემა, თუმცა განაცხადი მათაც წარადგინეს ფედერაციაში და ჩემპიონატის საწევროც გუშინ, ორშაბათს უნდა გადაეხადა.

ფედერაციის თავკაცთა განცხადებით, როგორც დაგეგმილი იყო, საკალათბურთო ჩემპიონატი 1 ოქტომბერს დაიწყება და მასში ნავარაუდევი, ათივე გუნდი იასპარეზებს. ასე, რომ საქართველოს ჩემპიონატი უხარვეზოდ და შეუფერხებლად იღებს სტარტს.

## ძმებ ყვარელაშვილის პრიზზე

ცნობილი ფალავნების ძმების გივი და დათო ყვარელაშვილების ტურნირი ჭაბუკთა შორის ტრადიციად იქცა და იგი არაერთ ნიჭიერ მოზარდ სპორტსმენს ულოცავს გზას დიდ სპორტში. ეს შეჯიბრება უკვე შევიდა თბილისის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში და მას თვით დედაქალაქის მერიის სპორტის სამმართველო (ვ. კანკავა) აფინანსებს.

აი რა გვითხრა დათო ყვარელაშვილმა: „სასიხარულოა, რომ ეს ტურნირი სულ უფრო მეტ მოზარდს იზიდავს. ამჟამად შეჯიბრებაში 14-15 წლის 130-ზე მეტი მოზარდი ჩაება. მათ შორის ბევრმა წარმოაჩინა თავი, როგორც საიმედო მომავლის თავისუფალი სტილის მოჭიდავემ. განსაკუთრებულ ქებას იმსახურებენ გამარჯვებულები და პრიზიორები. მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სპორტის სამმართველოს, მოქალაქეთა კავშირს, დიღმის მასივში საჭიდაო კომპლექსის ხელმძღვანელობას, მსაჯთა კოლეგიას ტურნირის მაღალ დონეზე და შთამბეჭდავად ჩატარებისათვის. მოზარდები განსაკუთრებით გაახარა, საუკეთესო პრიზებმა, გემოვნებით შესრულებულმა დიპლომებმა".

**გაგაცნობთ გამარჯვებულებს:**

***29 კგ*** — კოკა კოტორაშვილი (თბილისი), ***32 კგ*** — დათო ბექაური (თბილისი), ***35 კგ*** — ზურაბ ზაურაშვილი (რუსთავი), ***38 კგ*** — შალვა ხარაზიშვილი (თბილისი), ***42 კგ*** — მიხეილ მერაბაშვილი (რუსთავი), ***47 კგ*** — თემურ ქასოშვილი (რუსთავი), ***53 კგ*** — ამირან დიღმელაშვილი (თბილისი), ***59 კგ*** — უჩა ყირიმელი (თბილისი), ***66 კგ*** — ოთარ ბაირამაშვილი (თბილისი). ***73 კგ*** — ბესიკ ხიდეშელი (თბილისი), ***85 კგ*** — თემურ მინდიაშვილი (რუსთავი), ***მძიმე*** — გიორგი ჩაგელიშვილი (თბილისი).

ალექსანდრე ხარბილაძე


ძმები ყვარელაშვილები აჯილდოებენ ნორჩ სპორტსმენებს

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## ჯანმრთელობის კუთხე

თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

### კბილის ტკივილის გაყუჩება მასაჟითაც შეიძლება

იმ „ჯადოსნურ" წერტილებს შორის, რომელიც განლაგებულია ადამიანის სხეულზე, მოიძებნება ისეთებიც, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ კბილის ტკივილის გასაყუჩებლად. ცხადია, მთლად განკურნება ამ მეთოდით შეუძლებელია, მაგრამ, როგორც პირველი დახმარების საშუალება, სასურველ ეფექტს იძლევა. მაშ. ასე:


(ნახ. 1)
სპეციალური წერტილი ზედა ტუჩის ზემოთ. საჩვენებელი თითით 10 წამის განმავლობაში ძლიერად დააწექით მას.


(ნახ. 2)
სპეციალური წერტილი ხელის ზედა მხარეს. დააწექით დიდი და შუათითის ბალიშებით 3-5 წუთის განმავლობაში.

## მიტოვებული წვევამდელები

გაუმართლებელი ყოფილა ის ოპტიმიზმი, რომლითაც მივდიოდით ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე, სადაც ტარდებოდა წვევამდელთა ტრადიციული საქალაქო სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა. ადვილი მისახვედრი უნდა იყოს ის წინასწარი განწყობა, რაც თვით შეჯიბრების ხასიათიდან გამომდინარეობდა. იგი წინა — საბჭოთა არმიაში მიმავალთაგან განსხვავებით, საზეიმო მაჟორული სულისკვეთებით უნდა ჩატარებულიყო ამის ერთ-ერთი და მთავარი პირობა კი საერთო ინტერესია ყოველთვის. მაგრამ, საერთო ინტერესს, ესე იგი მაყურებელს, ვინ ჩივის ამ მნიშვნელოვან პატრიოტულ აქციისადმი არც ისინი დაინტერესებულან, ვისაც ევალება კი არა, მის ჩატარებაში ლომის წილი უნდა დაედო. დიახ, დებულების თანახმად, ამ ასპარეზობამ სამი უწყების: თავდაცვის სამინისტროს, განათლების სისტემისა და თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს მხრებზე უნდა გადაიაროს. აქ პირველ ყოვლისა ღონისძიების დაფინანსება იგულისხმება, რომელიც სამივემ თანაბრად უნდა გაინაწილოს, აღარაფერს ვამბობთ შეჯიბრების სხვა ორგანიზაციულ მხარეზე. ყველაფერმა კი თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს ფინანსურად „მყიფე" მხრებზე გადაიარა. ალბათ დადგა დრო, ვიფიქროთ არმიაში ჯანმრთელი ახალგაზრდობა რომ გვყავდეს, ეს ყველას და არა მარტო რაიონების სპორტკომიტეტებისა და ქალაქის სპორტის სამმართველოს ვალდებულებაში შედის. ამაზე ერთიანი გულისხმევა და ზრუნვაა საჭირო.

ასეთი გულგრილობის შედეგია ალბათ, რომ ნაძალადევისა და სამგორის რაიონებს საერთოდ არ ჩაუტარებიათ ეს სავალდებულო შეჯიბრება მრავალჭიდში და ვერც საქალაქო სტარტებში წარსდგნენ. ამის გა-

იხ. მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# I ჯგუფი VIII ტური

## სტატისტიკის მოყვარულთათვის

**დინამო (თბილისი) — დინამო (ბათუმი) 1-1**

**თბილისი. ეროვნული სტადიონი**

***დინამო (თბ.):*** გვარამაძე, ი. მახარაძე, ჭელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, დ. მუჯირი (კვარაცხელია, 68), კიკნაძე, ალექსიძე (ა. სახვაძე; 86), აშვეთია (გ. შენგელია, 73), ცქიტიშვილი, ხომერიკი.

***დინამო (ბთ.):*** ტოგონიძე, პაპიძე, თოროლაშვილი (ვერემჩუკი, 76), სიჭინავა, კანტიძე, გადელია, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტუღუში, რუსია.

***გოლები:*** 1-0 ხომერიკი (20), 1-1 ტუღუში (44, პენ).

***გააფრთხილეს:*** დიდავა, გადელია, ვერემჩუკი.

***მსაჯი:*** ალექსანდრე შილაკაძე (თბილისი).

**დილა (გორი) — იბერია (სამტრედია) 2-1**

**გორი. ცენტრალური სტადიონი.**

***დილა:*** მდივანი, ფეზუაშვილი, ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, ხ. გაგნიძე, მოსულიშვილი (გოჩაშვილი, 55), მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, თაყაძე (ახალკაცი, 73), შატაკიშვილი (გ. ჩიტაია, 55).

***იბერია:*** დოლიძე, ნიკოლეიშვილი (ლურსმანაშვილი, 46), ქობესაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, ამაშუკელი, ჩომახიძე, ხუჭუა (ივეჩიანი, 64), ვ. გიგიაძე, გ. დარასელია, ბრეგვაძე.

***გოლები:*** 1-0 მარეხაშვილი (16), 1-1 დარასელია (24), 2-1 კაიდარაშვილი (27).

***გააფრთხილეს:*** გოჩაშვილი, ციცქიშვილი, ბრეგვაძე.

***მსაჯი:*** თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი).

**არსენალი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 0-2**

**თბილისი. „ისნის“ სტადიონი.**

***არსენალი:*** ჩლაიძე, ფირცხალავა, ცერცვაძე (ხოსროშვილი, 7), გველესიანი, ლაცაბიძე, მაისურაძე, ყოლბაია, ლომიძე, ლ. კორღალიძე (ამირაძე, 60), კაკაშვილი (ზირაქიშვილი, 51), ტარიელაშვილი.

***ტორპედო:*** ასლანიძე, ჯინჭარაძე, ჩხაბერიძე, ვაშაკიძე, მაღლაკელიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე, თურმანიძე, დ. ჯანაშია, გ. მეგრელაძე (მეტრეველი, 70), იონანიძე.

***გოლები:*** დ. ჯანაშია (58), გ. მეგრელაძე (65).

***გააფრთხილეს:*** ყოლბაია, დ. ჯანაშია, ლაცაბიძე.

***მსაჯი:*** სერგო კვარაცხელია (ზუგდიდი).

**მერანი-91 (თბილისი) — ოდიში (ზუგდიდი) 0-1**

**თბილისი. „სინათლის“ სტადიონი.**

***მერანი-91:*** ნაჭყპია, დევიძე, ასპინძელაშვილი, დავითნიძე, დანელია, ჯიშკარიანი, გელა ქორიძე, ბაჯელიძე, მ. მესხი, ხუციშვილი, ს. დავითაშვილი.

***ოდიში:*** ნაყოფია, ჯაბუა, ლურსმანაშვილი, კიპაროიძე, ტყემალაძე, კვეკვესკირი (ტაბაღუა, 70), ჩადუნელი (თოლორაია, 89), ბარქაია, კუტალია (მარკოზია, 56), თოლორდავა, ენდელაძე.

***გოლი:*** ენდელაძე (17, პენ.).

***გააფრთხილეს:*** დავითნიძე, დანელია, კიპაროიძე, ბარქაია.

***მსაჯი:*** ავთანდილ შალამბერიძე (ქუთაისი)

**სამგურალი (წყალტუბო) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 1-3.**

**წყალტუბო. 26 მაისის სახელობის სტადიონი.**

***სამგურალი:*** ხაჩირაშვილი, ფრანგიშვილი, მ. ჯინჭარაძე, ლონლაძე (ფაიქიძე,23), ჭელიძე, გაგნიძე, ჯავახაძე (ხაჭაპურიძე, 23), უგულავა (თევდორაძე, 59), დარსაძე, ფილიპაშვილი, კ. ჯანაშია.

***ვიტ-ჯორჯია:*** ჭურაძე, მენთეშაშვილი, ჭანკოტაძე, მუჯირი (კვიციანი, 80), დოლიძე, ზ. გვაზავა, მაისურაძე, ნოზაძე, გოჩაშვილი (გ. გვაზავა, 62), პეტრიაშვილი (აბაზაძე, 75), დვალიშვილი.

***გოლები:*** 0-1, 0-2 ნოზაძე (34,40), 0-3 ჭანკოტაძე (56), 1-3 ფაიქიძე (58).

***გააფრთხილეს:*** ლონლაძე, მენთეშაშვილი, ჭელიძე, ფრანგიშვილი, გ. გვაზავა.

***მსაჯი:*** გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი).

**ბორდა (რუსთავი) — კოლხეთი-1913 (ფოთი) 0-0**

**რუსთავი. „ფოლადის“ სტადიონი.**

***გორდა:*** მ. ქორიძე, ი. ხუჯაძე, ბურნაძე, კედელაშვილი, მ. სახვაძე, ვ. კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ჩოხელი (ბექაური, 76), ჩუხუა, კ. ალადაშვილი.

***კოლხეთი-1913:*** ქვაჩახია, პაპავა, ტორჩინავა, ახვლედიანი, გიორგობიანი, ლაღანიძე (კრასოვსკი, 73), კალანდაძე, სუხიაშვილი, ე. გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე.

***გააფრთხილეს:*** პაპავა, ბექაური.

***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

**სიონი (ბოლნისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1-1**

**ბოლნისი. თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი.**

***სიონი:*** ვოლკოვი, გოდერძიშვილი, შაკიაშვილი (სვანიძე, 53), ყიფშიძე, ძნელაძე, მ. სამხარაძე, ე. ჯაფარიძე (გაგუა, 46), გოგოლაძე, მაზანაშვილი, ჯაგიდისი, თ. სამხარაძე (მოსეშვილი, 29).

***თსუ:*** ბათიაშვილი, ილურიძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, ებრალიძე, ცომაია, კაკუბავა, ვ. ღუდუშაური (სვანიძე, 88), წიტაიშვილი, ჭუმბურიძე, როსტიაშვილი.

***გოლები:*** 1-0 ძნელაძე (10), 1-1 როსტიაშვილი (35).

**გურია (ლანჩხუთი) — ლოკომოტივი (თბილისი) 0-4**

**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონი.**

***გურია:*** გოგუა, ფაცურია (კავთელაძე, 68), კაკაჩია, კუკულაძე, განევი, ზ. კვეკვესკირი, ინიაშვილი (ლორია, 73), დ. მახარაძე, ჩიგოშვილი (ბულუხია, 68), მელაძე, თიბილაშვილი.

***ლოკომოტივი:*** დოლაბერიძე, კვიტატიანი (ძოძუაშვილი, 85), არსოშვილი, კაციაშვილი, თარხნიშვილი, ხორგუაშვილი, მარლიშვილი (დაუშვილი, 60), ბაქრაძე, ნ. მინდიაშვილი, მელქაძე, გ. ღუდუშაური (მ. მინდიაშვილი, 78).

***გოლები:*** ბაქრაძე (29), ღუდუშაური (52, 58), ძოძუაშვილი (89).

***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

## VIII ტურის სტატისტიკა

**ტურის „მოვლენებად“ შეიძლება ჩაითვალოს:**

**თბილისის** „დინამოს“ პირველი დაკარგული ქულები, ამრიგად, X ჩემპიონატში უდანაკარგოდ არ დარჩა გუნდი.

**ისევე** როგორც პირველ ტურში, VIII-შიც მასპინძლებმა გაიმარჯვეს მხოლოდ ერთ შეხვედრაში, მაგრამ პირველი ტურისაგან განსხვავებით, გაიტანეს მხოლოდ, 5 ბურთი, რაც ყველაზე ნაკლები მაჩვენებელია წინა ტურებთან შედარებით.

**თბილისის** „ვიტ-ჯორჯიამ“ გაიმარჯვა, ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ.

**ტურის** 8 მატჩში 18 გოლი გავიდა (საშუალოდ ერთ მატჩში — 2,25 ბურთი).

მასპინძლებმა გაიტანეს 5, სტუმრებმა — 13.

პირველ ნახევარში გავიდა 11 ბურთი, მეორეში — 7.

საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან გატანილია 176 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში — 2,88 ბურთი).

მასპინძლებმა გაიტანეს 106 გოლი (რაც შეადგენს გატანილი ბურთების 60 %), სტუმრებმა კი — 70 (40 %).

მასპინძლებმა გაიმარჯვეს ერთ მატჩში, ფრედ დამთავრდა 3 შეხვედრა, ხოლო სტუმრებმა გაიმარჯვეს ოთხ მატჩში.

სტუმრად ყველაზე მეტი ქულა დააგროვა: ქუთაისის „ტორპედომ“ — 10. შემდეგი მაჩვენებელი აქვს თბილისის „ლოკომოტივს“ — 9.

სტუმრად არც ერთი ქულა არ აულია ბოლნისის „სიონს“.

დაფიქსირდა ერთი დიდი ანგარიშით მოგება, თანაც „ლოკომოტივმა“ გაიმარჯვა სტუმრად.

ჩემპიონატის დაწყებიდან დაფიქსირებულია 17 დიდი ანგარიშით გამარჯვება.

„დუბლი“ შეასრულა 2 ფეხბურთელმა (ნოზაძემ — „ვიტ-ჯორჯია“ და ღუდუშაურმა — „ლოკომოტივი“).

ჩემპიონატის დაწყებიდან შესრულებულია 2 „ჰეთ-თრიკი“ და 26 „დუბლი“.

სამივე პენალტიდან ყველა გავიდა. საერთოდ ჩემპიონატის დაწყებიდან 27 პენალტიდან გატანილია 21. ყველაზე მეტი პენალტი დანიშნეს მსაჯებმა მ. მალაღურიძემ, ა. შილაკაძემ (ორივე — თბილისი) და გ. ასკარ-ოღლიმ (ქარელი) — 4-4.

არც ერთი პენალტი არ დაუნიშნია ს. კახიანს (თბილისი)

**ტურში** გაფრთხილებულია 23 ფეხბურთელი.

ყველაზე „უხეში“ მატჩი იყო: „სამგურალი“ — „ვიტ-ჯორჯია“, 5 ფეხბურთელია გაფრთხილებული.

საერთოდ ჩემპიონატის დაწყებიდან ყველაზე „უხეში“ მატჩი იყო: „დილა“ — „კოლხეთი-1913“, იქ რვა ფეხბურთელმა მიიღო ყვითელი ბარათი, ერთმა წითელი.

ჩემპიონატში დარჩა 3 დაუმარცხებელი გუნდი („დინამო“ (თბ), „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“).

**ბომბარდირები:**

ლ. ხომერიკი („დინამო“, თბ.) — 8 გოლი
ზ. იონანიძე („ტორპედო“) — 6
თ. ტუღუში („დინამო“, ბთ.) — 6
მ. აშვეთია („დინამო“, თბ.) — 6
ა. კაიდარაშვილი („დილა“) — 6
პ. წივწივაძე („კოლხეთი“) — 5
დ. ჯანაშია („ტორპედო“) — 5
ა. კაკაშვილი („არსენალი) — 4
ვ. გიგიაძე („იბერია“) — 4
მ. ჩომახიძე („იბერია“) — 4
პ. მაჭუტაძე („დინამო“, ბთ.) — 4
დ. მახარაძე („გურია“) — 4
ლ. ცქიტიშვილი („დინამო“, ბთ.) — 4
თ. ფაიქიძე („სამგურალი“) — 4

## „ვილემზე“ ფიქრით

ტილბურგელებთან განმეორებითი მატჩის წინ ჩვენი უცვლელი ჩემპიონი უკეთეს სპარინგპარტნიორს ვერც ინატრებდა – ბათუმელებმა შეაჩერეს მისი მოგებათა სერია და ევროტურნირებს შემორჩენილ ერთადერთ ქართულ გუნდს, არც თუ ურიგო გაკვეთილი ჩაუტარეს. გაკვეთილი იმ მხრით, რომ თბილისის „დინამომ“ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა თავისი სისუსტეები (მიუხედავად იმისა, რომ მატჩი მათი უპირატესობით მიმდინარეობდა) – გუნდში არაა ფეხბურთელი, რომელიც დაცვის ხაზს შეადუღაბებს, ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთა კვლავაც აუმუშავებელია, რადგან საამისო ფეხბურთელი მწვრთნელებმა ვერა და ვერ შეარჩიეს. შეტევები თითქმის ერთფეროვანია, რომლის ორგანიზებას ალექსიძე და ცქიტიშვილი წარმართავენ მარცხენა ფლანგზე. ფორვარდები კი თავისებურად განწყობის მოთამაშეებად იქცნენ (ეს უფრო აშვეთიას ეხება), ხოლო ხომერიკი დამაგვირგვინებელ ფაზაში ხანდახან ისე ირჯება, რომ „დინამოს“ ფანს გული ეთუთქება. ასეა, მურთაზ ხურცილავას სამუშაო კარგა გვარიანად აქვს, მაგრამ ისიცაა, რომ მისი ბიჭები ალბათ უფრო „ვილემთან“ მატჩზე ფიქრობდნენ, რათა დღეს ეროვნულ სტადიონზე მისულთ დაუმტკიცონ, რომ ტილბურგელებს მათთვის მატარებლივით არ გადაუვლიათ და მარცხი, როგორც მარცხი – ორდინალური საფეხბურთო მოვლენა იყო და არა ჩვილის გალახვა. ჩვენს არაორდინალურ გულშემატკივარს კი გული იმედით მალე უთბება, ის გული, რომლის სიღრმეშიც საყვარელი გუნდისაც სჯერა და სასწაულისაც.

დათო თავართქილაძე

## მერანს ფეხი დაუცდა

მშობლიურ „სინათლეზე“ ტრანსპორტელთა გუნდისაგან მხოლოდ გამარჯვებას ელოდნენ — წინა ტურში „მერანი“ ხომ დიდი ანგარიშით დამარცხდა ფოთში (0-3) და რეაბილიტაცია მართლაც რომ მართებდა. მაგრამ „ოდიშმა“ არ დაანება და სამი ქულაც დაათმობინა ავჭალელებს. „მერანი“ გაშვებული გოლის შემდეგ გამოცოცხლდა, ხელსაყრელი მომენტები გაუშვეს ხელიდან მესხმა, დავითაშვილმა, დავითნიძემ. მეორე 45 წუთში „ოდიშმა“, ცოტა არ იყოს, ყრუ დაცვას მიმართა, მაგრამ არც კონტრშეტევები დავიწყებია და ტაბაღუას რომ ეყოჩაღნა, ორბურთიანი ფორის შედეგად უფრო მშვიდად ჩაამთავრებინებდა გუნდს მატჩს. „მერანი“ კი სუმბურულად უტევდა და საცაა ბურთსაც გაქვითავსო, მაგრამ ხან ნაყოფიამ იმარჯვა, ხან კი მერანელები სცოდავდნენ. საბოლოოდ მასპინძელთა ახალგაზრდობამ შედარებით ხანდაზმულ და გამოცდილ სტუმრებთან ვერაფერი გააწყო, „ოდიშმა“ კი თავაწეული დატოვა „სინათლე“.

დათო თავართქილაძე

## ლოგიკური გამარჯვება და ქუთაისელთა გაზრდილი ამბიციები

შეხვედრა ერთობ საინტერესო გამოდგა. ქუთათურებმა, რომლებსაც წელს ძლიერი გუნდი ჰყავთ, ამ მოგებით კიდევ ერთხელ დაგვარწმუნეს, რომ შემთხვევით არ გასჩენიათ მაღალი ამბიციები.

თამაში ორმხრივი შეტევებით წარიმართა, თუმცა ოდნავი უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. პირველი საგოლე მომენტი მასპინძლებს ჰქონდათ: კაკაშვილმა ტანმაღალ ასლანიძეს ბურთის თავზე გადაგდება დაუპირა, მაგრამ მცირე მანძილით ააცილა კარს. მასპინძელთაგან კაკაშვილი-კორღალიძის წყვილი აქტიურობდა, მაგრამ მან გოლის გატანა ვერ მოახერხა.

მეორე ტაიმის დასაწყისში თბილისელები გააქტიურდნენ და მწვავეთაც შეუტიეს. განსაკუთრებით ტარიელაშვილი ცდილობდა რაიმე ღირებული შეექმნა, მაგრამ დამაგვირგვინებელ სტადიაში მეტოქის კართან დამაჯერებლად ვერ მოქმედებდა. ტორპედოელები ძირითადად კონტრშეტევებზე აგებდნენ თამაშს და პირველი გოლიც ამის შედეგად გავიდა, როდესაც იონანიძემ ჯანაშიას მაღალი ბურთი გადააწოდა და ამ უკანასკნელმა თავურით ანგარიში გახსნა. რამდენიმე წუთში რიონისპირელებმა, კერძოდ კი მეგრელაძემ მეორე გოლიც გაიტანა — იგი სანახაობრივი თვალსაზრისით მართლაც ბრწყინვალე გამოდგა და არც მეტოქეთა გუნდის გულშემატკივართა აპლოდისმენტები მოჰკლებია. დარჩენილ დროში შეხვედრის ბედის შემობრუნება წარმოუდგენელი კი იყო, მიუხედავად ამისა, „არსენალის“ ფეხბურთელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და მონდომებით თამაშობდნენ, განსაკუთრებით შეცვლაზე შემოსული ზირაქიშვილი აქტიურობდა, მაგრამ მცდელობა და მონდომება ერთია, სასურველი შედეგი მეორე...

გოგა ლომიძე

## რეიტინგი

*(პირველი გვერდიდან)*

**მელთა შინაარსი ასევე ემთხვევა სხვების აზრს.**

**„მერაბ ჟორდანია და მხოლოდ მერაბ ჟორდანია, დღეს ქართულ ფეხბურთს მისნაირი აზროვნების ადამიანი თუ იხსნის“ (ლევან კაპანაძე, თბილისი), დაახლოებით იგივე პოზიცია გამოხატეს თორნიკე კიკვაძემ და მერაბ კვესიტაძემ (ორივე — ქუთაისი), ვაჟა მებონიამ (ხობი), ტარიელ კვირიკაშვილმა (რუსთავი) და სხვ. „გვეძლევა უნიკალური შესაძლებლობა სფფ-ს პრეზიდენტად ავირჩიოთ შესანიშნავი ორგანიზატორი და ხელმძღვანელობაში სტაჟიანი, კაცი, რომელმაც 1985 წელს თბილისში ახალგაზრდების მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებს გვაზიარა, საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში კარგად ცნობილი — რამაზ გოგლიძე“ (მამუკა ტოგონიძე, გელა მენაბდე, გია ტოკლიკიშვილი, ბესო ჩარქსელიანი და სხვ. სულ 26 ხელმოწერა — თბილისი); იმავე პათოსით უჭერდნენ მხარს რ. გოგლიძეს ბათუმიდან — გ. გორდულაძე, ზესტაფონიდან — სოსო მახათაძე, რუსთავიდან — ილია ჯაჯანიძე, კახა სამყურაშვილი, გივი ჩიტიძე და სხვ.**

**„ილია დათუნაშვილი — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ძალზე კარგად ულერს. წარმატებები მინდა ვუსურვო ბატონ ილიას“.**

**— ამ სიტყვებით ამთავრებს „ლელოში“ გამოგზავნილ თავის წერილს გაზეთ „ევრაზია-ექსპრესის“ კორესპონდენტი ვაჟა ჭიაურელი. იგი წერს: „ილია დათუნაშვილმა ბევრი სიხარული აჩუქა საქართველოს და ქართულ ფეხბურთს... არის ფეხბურთთან ძალზე ახლოს მყოფი, უმუშავია მაღალ თანამდებობებზე და მჯერა, რომ იგი უპრველესი კანდიდატია და მხოლოდ მას შეუძლია კაცურად წარუძღვეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას“.**

**გააქტიურდნენ დავით კვინიკაძის მხარდამჭერებიც. აი რას გვწერს თბილისელი ლ. ხარაზიშვილი: „მე პირადად არ ვიცნობ სფფ-ს გენერალურ მდივანს, მაგრამ დიდი ინტერესით ვკითხულობ მის ინტერვიუებს თუ წერილებს. ჭკვიანი, მცოდნე, დიპლომატიური კაცი ჩანს. იქნებ ახლა სწორედ ასეთი ხელმძღვანელი უნდა ჩვენს საწყალ ფედერაციას“... დ. კვინიკაძეს მხარს უჭერს აგრეთვე მთელი ჯგუფი გორიდან და ბორჯომიდან.**

**რედაქციაში სხვა კანდიდატებზე წერილები არ შემოსულა, თუმცა სატელეფონო ზარებით სხვა კანდიდატებსაც ჰყავთ მხარდამჭერები. ბოლო დღეებში ბევრი გვეკითხება იყრის თუ არა კენჭს სფფ-ს პრეზიდენტის პოსტზე ალექსანდრე ჩივაძე და რატომ მოხსნა ადრე მან თავისი კანდიდატურა. ყველას კიდევ ერთხელ გვინდა ვაუწყოთ, რომ ალექსანდრე ჩივაძეს სფფ-ს პრეზიდენტობის პოსტზე თავისი კანდიდატურა, სხვებისაგან განსხვავებით, ოფიციალურად არ წამოუყენებია და, ცხადია, არც შეიძლებოდა მოეხსნა. მოისურვებს თუ არა იგი წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ჭერ-ჭერობით უცნობია. შეუძლია ეს გააკეთოს უშუალოდ ყრილობაზეც კი.**

**ახლა კი ვნახოთ, როგორ ნაწილდება მეორე რაუნდის 100 ხმა.**

რამაზ გოგლიძე — 29
მერაბ ჟორდანია — 26
ილია დათუნაშვილი — 19
დავით კვინიკაძე — 14
ნოდარ ანდრიაძე — 8
რეზო არველაძე — 4

**გამოკითხვის ახალი რაუნდისათვის მოგვწერეთ: თბილისი, 380008, კოსტავას, 14 „ლელო“. დაგვირეკეთ: 99-56-14, 99-81-71.**

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი. სოფ. ფშაფი

# მეორე ჯგუფი ● V ტური

**დასავლეთის ზონა, „ა“ ქვეჯგუფი**

იბერია-2 (სამტრედია) — ოკეანე (სამტრედია) 0-1, მეშახტე (ტყიბული) — საირმე (ბაღდათი) 1-0, რაჭა (ამბროლაური) — სამგურალი-2 (წყალტუბო) 2-3, სულორი (ვანი) — რიონი (ქუთაისი) 1-0, დინამო (გაგრა) — მაღაროელი !ჭიათურა) 4-1, ტორპედო-2 (ქუთაისი) — ჩიხურა (საჩხერე). 0-3 („ტორპედომ“ მსაჯებს გასამრჯელო ვერ გადაუხადა და წაგება ჩაეთვალა).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. | (-) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (გ.) | 5 | 5 | 0 | 0 | 14-3 | 15 | (-0) |
| სულორი | 5 | 5 | 0 | 0 | 13-3 | 15 | (-0) |
| მარგვეთი | 4 | 3 | 1 | 0 | 13-2 | 10 | (-2) |
| ოკეანე | 5 | 3 | 0 | 2 | 4-5 | 9 | (-6) |
| სამგურალი-2 | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 | (-8) |
| ტორპედო-2 | 5 | 2 | 1 | 2 | 5-5 | 7 | (-8) |
| საირმე | 4 | 2 | 1 | 2 | 3-6 | 7 | (-5) |
| მეშახტე | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 | (-3) |
| მაღაროელი | 5 | 1 | 2 | 2 | 8-11 | 5 | (-10) |
| რაჭა | 5 | 1 | 0 | 4 | 4-7 | 3 | (-12) |
| რიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 2-6 | 3 | (-9) |
| ჩიხურა | 3 | 1 | 0 | 2 | 3-8 | 3 | (-6) |
| იბერია-2 | 5 | 0 | 0 | 5 | 4-13 | 0 | (-15) |

**დასავლეთის ზონა, „ბ“ ქვეჯგუფი**

ენგური (ზუგდიდი) — კოლხეთი (ხობი) 2-1, სამეგრელო (ჩხოროწყუ) — ბახმარო (ჩოხატაური) 3-0, ეგრისი (სენაკი) — კოლეჯი (ბათუმი) 1-4, შუქურა (ქობულეთი) — ოდიში- (ზუგდიდი) 3-1, კოლხეთი-2 (ფოთი) — სალხინო (მარტვილი) 3-4, სქური (წალენჯიხა) — მერცხალი (ოზურგეთი) 2-1.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 5 | 4 | 1 | 0 | 10-3 | 13 | (-2) |
| სქური | 5 | 4 | 0 | 1 | 11-5 | 12 | (-3) |
| სამეგრელო | 5 | 3 | 1 | 1 | 11-5 | 10 | (-5) |
| ეგრისი | 5 | 3 | 1 | 1 | 8-4 | 10 | (-5) |
| კოლხეთი (ხ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 7-2 | 7 | (-5) |
| შუქურა | 4 | 2 | 0 | 2 | 9-6 | 6 | (-6) |
| კოლეჯი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-8 | 6 | (-9) |
| მერცხალი | 4 | 2 | 0 | 2 | 7-7 | 6 | (-6) |
| სალხინო | 5 | 2 | 0 | 3 | 9-12 | 6 | (-9) |
| ფაზისი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-4 | 4 | (-8) |
| ბახმარო | 5 | 1 | 0 | 4 | 3-16 | 3 | (-12) |
| ოდიში-2 | 5 | 0 | 3 | 2 | 5-9 | 3 | (-12) |
| კოლხეთი-2 (ფ.) | 4 | 0 | 0 | 4 | 3-15 | 0 | (-12) |

**ცენტრალური ზონა**

ლოკომოტივი-2 (თბილისი) — მესხეთი (ახალციხე) 3-1, დინამო -2 (თბილისი) — ქინერი(ქინვალი) 11-1, ვარძია (ასპინძა) — საუ (თბილისი) 2-2, ი ბერია (ქ.) — იბერია (თბილისი) 6-3, განთიადი (კასპი) — თორი (ბორჯომი) 1-0, დილა 2 (გორი) — ცხუმი (სოხუმი) 1-2, ცხინვალი — ივერია (ხაშური) 2-3.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო-2 | 5 | 5 | 0 | 0 | 24-3 | 15 | (-0) |
| ლოკომოტივი-2 | 5 | 4 | 0 | 1 | 15-6 | 12 | (-3) |
| ცხინვალი | 5 | 3 | 1 | 1 | 14-7 | 10 | (-5) |
| ივერია | 5 | 3 | 1 | 1 | 13-6 | 10 | (-5) |
| იბერია (ქ.) | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 | (-5) |
| განთიადი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-9 | 10 | (-5) |
| საუ | 5 | 2 | 2 | 1 | 10-10 | 8 | (-7) |
| დილა-2 | 5 | 2 | 1 | 2 | 10-11 | 7 | (-8) |
| თორი | 5 | 2 | 0 | 3 | 6-7 | 6 | (-9) |
| იბერია (თბ.) | 5 | 2 | 0 | 3 | 9-16 | 6 | (-9) |
| ცხუმი | 5 | 1 | 0 | 4 | 8-24 | 3 | (-12) |
| მესხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 5-14 | 1 | (-14) |
| ვარძია | 5 | 0 | 1 | 4 | 7-20 | 1 | (-14) |

**აღმოსავლეთის ზონა**

ლარწყალი (ანაგა) — ზოოვეტი (თბილისი) 3-2, დინამო-3 (თბილისი) — მრეტები (თბილისი) 1-0, ყვარელი — შსს აკადემია (თბილისი) 2-0, ალაზანი (გურჯაანი) — კახეთი (თელავი) 1-2, ალგეთი (მარნეული) — ჭაბუკიანი (ლაგოდეხი) 3-0, ხალიბი (რუსთავი) — ქანაგკო (სართიჭალა) 4-1, უნივერსიტეტი (თბილისი) — სამგორი (გარდაბანი) 2-1.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 5 | 4 | 1 | 0 | 10-2 | 13 | (-2) |
| ლარწყალი | 4 | 4 | 0 | 0 | 12-3 | 12 | (-0) |
| ხალიბი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-2 | 9 | (-3) |
| შსს აკადემია | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 | (-3) |
| ალგეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9-6 | 9 | (-6) |
| დინამო-3 | 5 | 3 | 0 | 2 | 6-6 | 9 | (-6) |
| უნივერსიტეტი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-6 | 8 | (-7) |
| კახეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 | (-8) |
| ჭაბუკიანი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 | (-5) |
| არსენალი-2 | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 | (-5) |
| ზოოვეტი | 5 | 2 | 0 | 3 | 10-9 | 6 | (-9) |
| ალაზანი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-13 | 3 | (-12) |
| სამგორი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-7 | 1 | (-11) |
| მრეტები | 5 | 0 | 1 | 4 | 1-9 | 1 | (-14) |
| ქანაგკო | 5 | 0 | 0 | 5 | 4-17 | 0 | (-15) |

# სტამბულის ბაზარზე ისევ ჰყიდიან ქართველ ყმაწვილებს, ამჯერად ფეხბურთელებს

(პირველი გვერდიდან)

ფეხბურთელთა ნაკრების გაძღოლა), იგრძნო მოსალოდნელი საშიშროება და როდესაც ერთ დღეს ბავშვები გაუჩინარდნენ, ფეხბურთის ფედერაციის პასუხისმგებელ პირებს მიმართა შეშფოთებულმა — ჩემს ზურგს უკან ხომ არ მოქმედებთო. დაიფიცეს, იუარეს, ბოლოს კი სიმართლე მაინც გამჟღავნდა.

**რომან შოთაძე („დინამოს“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტი):** „22 სექტემბერს შევიტყვე, სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტის ნოდარ ანდრიაძის ხელმოწერით გაიცა ტრანსფერი 35-ე სკოლის სამ აღსაზრდელზე — ბობოხიძეზე, თავბერიძეზე და სირაძეზე. ამათგან პირველი ორი „დინამო-2“-ში გამოდიან, მეორე ჯგუფში. ეს პროცესი ისე ჩუმად „მოუკვარახჭინებიათ“, არც ჩვენთვის, არც მათი მწვრთნელისათვის, ოთარ შენგელიასთვის უკითხავთ. მაგრამ ეს არ არის მთავარი. საგანგაშო თვით ფაქტშია: თუ ჩვენ პრეცედენტი დავუშვით და ასეთ პატარა ასაკში (ჭაბუკები 1981 წელში არიან დაბადებულები) საერთაშორისო ტრანსფერი გავეცით და გავყიდეთ ბავშვები, მაშინ ჩვენ ველარ გავაჩერებთ ნორჩების მასობრივ გადინებას და ისედაც უფეხბურთელებოდ დარჩენილ ქართულ კლუბებს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავაყენებთ. როცა საქართველოდან 20 წლის ფეხბურთელი მიდის, ესეც ცუდი ფაქტია, მაგრამ ვითვალისწინებთ, რომ ბევრი თავისი ოსტატობით გადაზრდილია ჩვენი ჩემპიონატისათვის, აქ კი საერთოდ საგანგაშო რამ მოხდა — საუბარია უკვე ბავშვების გაყიდვაზე. თუ ახლავე მომხდარს სათანადო შეფასება არ მივეცით და მთელი სიგრძე-სიგანით არ განვიხილეთ, საერთოდ მომავლის გარეშე დავრჩებით!“

**ოთარ შენგელია:** „ყველაზე პირველად ბავშვთა საფეხბურთო ლიგის შექმნაზე მერაბ ჟორდანიას პროგრამაში გაცხადდა, მერე ეს იდეა სხვებმაც აიტაცეს, მაგრამ რა ლიგაზეა საუბარი, როცა ბავშვები აღარ გაჩერდებიან საქართველოში. გუნდები შევსებას ჩვენი სკოლის დამამთავრებელი კლასების აღსაზრდელებიდან იღებენ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, საერთოდ დავიღუპებით. ფაქტობრივად ეს ბავშვები მამლუქებად იქცნენ, მშობლებს კი ჰგონიათ, შვილებს კარგს უკეთებენ“.

**რომან შოთაძე:** „100-200 დოლარის გულისთვის შვილის გაშვება არ შეიძლება, მით უმეტეს თურქეთში. რისი გადამხდელებიც არიან იქაურები, გოჩა ჯამარაულის მაგალითზეც ჩანს, არც არველაძეები გაუსტუმრებიათ ბოლომდე და ბავშვებს მისცემენ რამეს?“

**მურთაზ ხურცილავა:** „გეთანხმებით, საზღვარგარეთ ფეხბურთელის დაოსტატებისათვის უკეთესი პირობებია და ყველას უნდა შვილმა უკეთესი კარიერა გაიკეთოს, მაგრამ ასე ხომ არ შეიძლება. მაშინ წავიდეს ყველა, ხოლო ეროვნულ ჩემპიონატში მე და თქვენ (ჟურნალისტებმა — ჯ.ჭ.) ვითამაშოთ. ანდრიაძე ახლა თავს იმართლებს, თითქოს ეს ბავშვები გუნდიდან გავუშვი, რაც სიმართლეს არ შეეფერება. მე სისტემატურად დავდივარ რაიონებში და პერსპექტიულ ბიჭებს ვეძებ. აბა, შეიძლება უარი მეთქვა ისეთ ნიჭიერ ფეხბურთელზე, როგორიცაა ბობოხიძე? მათ წასხმაში დიდი როლი შეასრულეს მშობლებმაც — ბავშვები დამალეს და მოგვატყუეს, თითქოს ავად იყვნენ. მე მაშინვე დავეჭვდი, მაგრამ ანდრიაძემ დაგვასწრო და თანამდებობა ბოროტად გამოიყენა. სფფ-ში მთელი სატრანსფერო კომიტეტია შექმნილი, მან კი ყველაფერი მალულად, ერთპიროვნულად გადაწყვიტა“.

ერთი საინტერესო დეტალი — ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის მოქმედებას არც თვით აპარატის თანამშრომლები ამართლებენ. აი, რა თქვა იურიდიული კომიტეტის ხელმძღვანელმა **ლევან ბორხელაშვილმა:** „როცა გაცემული ტრანსფერების შესახებ შევიტყვე, ძლიერ გავიკვირვე — რატომ აყვნენ მშობელთა სურვილს და არ მოუსმინეს 35-ე სკოლას და „დინამოს“? სატრანსფერო საკითხების გადასაწყვეტად სფფ-ში მთელი პროცედურა არსებობს, სატრანსფერო კომიტეტია შექმნილი, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა — ტრანსფერი ერთპიროვნულადაა გაცემული, ამის უფლება კი არავის აქვს“.

ახლა მოდით მეორე მხარეს მოვუსმინოთ. რით ხსნის **ნოდარ ანდრიაძე** თავის მოქმედებას? აი, რა განუცხადა მან ამ დღეებში გაზეთ „რეზონანსს“: „ჯერ არაფერი გადაწყვეტილი არ არის. თუ არ მოეწონათ ეს ბავშვები, არ დაიტოვებენ და უკანვე გამოუშვებენ. ვთვლი, რომ ეს ძალზე წაადგება ქართულ ფეხბურთს, აგერ ლაშა ჯაკობიას ამბავი ავიღოთ, გავუშვით თავის დროზე ბელგიაში და ახლა „სტანდარდში“ თამაშობს. უნდა ნახოთ, ბობოხიძის, თავბერიძის და სირაძის მშობლები როგორ გვეხვეწებიან, გაუშვით ჩვენი შვილები თურქეთშიო“. ანდრიაძის განმარტებით, „დინამო-2“-ს ბავშვებთან კონტრაქტები არასწორად ჰქონდა გაფორმებული (რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ფეხბურთელთა კონტრაქტების ასლები სფფ-ში ინახება. თუ მართლაც ისინი შეცდომით არის შედგენილი, რატომ თავის დროზე არ ატეხა განგაში სფფ-მ? — *ჯ.ჭ.*). აღმოჩნდა, რომ ბავშვებს კონტრაქტი ხუთი წლის ვადით დაუდეს, რაც ფიფას და უეფას რეგლამენტს ეწინააღმდეგება — 18 წლამდე ფეხბურთელთან კლუბს შეუძლია მხოლოდ 3 წლამდე ხელშეკრულება გააფორმოს. ამიტომ, თურმე, „დინამო-2“-თან ბავშვების კონტრაქტები გაუქმებას ექვემდებარება.

კეთილი, ბატონო, ვთქვათ კონტრაქტები გაუქმდა და ეს ბავშვები კვლავ 35-ე საფეხბურთო სკოლას ეკუთვნიან — სანამ ტრანსფერი გაიცემოდა, ხომ უნდა ჩაეყენებინა ანდრიაძეს მისი მესვეურები საქმის კურსში? სხვა თუ არაფერი, ამას უბრალო ეთიკა მაინც მოითხოვდა. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ სწორედ აქ დაუშვა ვიცე-პრეზიდენტმა ყველაზე უხეში შეცდომა — *აჰყვა მშობლებისა და საქმის „გამჩარხავების“ თხოვნას, თანაც საყოველთაოდ ცნობილია მისი, რბილად რომ ვთქვათ, დაძაბული დამოკიდებულება „დინამოს“ კლუბის მესვეურებთან.*

**ოთარ შენგელია:** „ანდრიაძე გულუბრყვილოდ შეაცდინეს და ბოლოს, როცა თავისი ნამოქმედარი გაიაზრა, მითხრა — სკოლას ტრანსფერიდან სამი პროცენტი გექნებათო. სასაცილოა ეს ამბავი. მასთან კამათი მომივიდა და მაშინ იფეთქა, *ჩვენი დრო მოდის და ნახეთ რას გიზამთო. არჩევნებამდე ისეთი დაძაბულია, ეტყობა არც ის იცის, ვის რა უთხრას*“.

ზემოთ ვახსენეთ, ნოდარ ანდრიაძემ თავი იმართლა — ბავშვები მხოლოდ სტაჟირებაზე გავუშვითო. როგორ გეკადრებათ, ასეთი ბოდიში და უმეცრება! მართალია სფფ-ს ჩინოსანი არა ვარ, მხოლოდ ჟურნალისტი, მაგრამ იმდენი მაინც ვიცი, რომ სტაჟირებაზე გაგზავნას სატრანსფერო ფურცელი არ ჭირდება! ასე რომ, ყველაზე კარგი გამოსავალი თქვენი, ბატონო ვიცე-პრეზიდენტო შეცდომის აღიარება იქნებოდა. უცოდველი ამ ქვეყანაზე არავინაა. თუმცა, არა, **ანდრიაძე** თავის პოზიციას ბოლომდე იცავს: „მოლაპარაკების თანახმად, თუ „ერზერუმსფორის“ ხელმძღვანელებს ბავშვები მოეწონათ, ოთხი თვის თავზე გააფორმებენ მასთან ხელშეკრულებებს, მათ გაფორმებაში აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას მშობლები და 35-ე სკოლის მესვეურები“.

ამ სიტყვების შემდეგ კვლავ სფფ-ს იურისტს **ლევან ბორხელაშვილს** მოვუსმინოთ: „დავუშვათ „დინამომ“ ამ ბავშვებს დაურღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები, ასეთ შემთხვევაშიც არ შეიძლება ახალგაზრდა ფეხბურთელთა ერთპიროვნულად წაყვანა და გასხვისება გუნდიდან, რადგან უნდა გაირკვეს, მართალია თუ არა „დინამო“, რა პირობები არ შეუსრულა ნორჩ ფეხბურთელებს. როცა ყველაფერი გაირკვევა და ფეხბურთელზე კლუბის იურისდიქცია არ გავრცელდება, მაშინ შეიძლება სატრანსფერო კომიტეტმა იმსჯელოს, მისცეს ფეხბურთელს ტრანსფერი თუ არა. 17 წლის ფეხბურთელზე სატრანსფერო ფურცლის გაცემა აკრძალულია და არავის აქვს უფლება ერთპიროვნულად გადაწყვიტოს მისი ბედი. დარღვეულია პროცედურა, ეს ახლავე ნათელია. ჯერ კიდევ ნოდარ ახალკაცი ცდილობდა მოთამაშეთა უაზრო გადინება შეემცირებინა. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ახალგაზრდას ევროპის ძლიერი კლუბი იწვევდა, მაშინაც საკითხი საგანგებოდ სპეციალურ კომიტეტზე განხილვის საგანი უნდა გამხდარიყო. ახლა ორმაგად გაოცებული ვარ — ნორჩ ფეხბურთელებს მეორეხარისხოვან საფეხბურთო ქვეყანაში ვუშვებთ, თანაც უსუსტეს კლუბში. ამრიგად, სატრანსფერო სერთიფიკატი პროცედურული დარღვევებითაა გაცემული, ასე არსად ხდება, სრული ქაოსია...“

დიახ, სრულმა ქაოსმა და ანარქიამ მოიკიდა ფეხი ქართულ ფეხბურთში. იმას ვჩიოდით, რა სუსტი ჩემპიონატი გვაქვსო, ახლა რაც გაგვაჩნია, ეტყობა, ისიც სანატრელი გაგვიხდება. აი, რას ფიქრობს მომხდარის შესახებ ქ. თბილისის საინფორმაციო სამსახურის დირექტორი, ახლადშექმნილი საფეხბურთო კლუბ „ლომას“ პრეზიდენტი **ამირან შოთაძე:** „ძალიან საგანგაშო ფაქტია. თუ ახლავე მას სათანადო შეფასება არ მივეცით, კატასტროფა გარდუვალია — ნორჩი ფეხბურთელების საზღვარგარეთ გადინება მასობრივ ხასიათს მიიღებს“. დაახლოებით ასეთივე პოზიციაზე დგანან ჩვენს მიერ გამოკითხული სხვა საფეხბურთო კლუბების ხელმძღვანელებიც. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, „დინამოს“ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ, მთავარმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ, საქართველოს 16 წლამდე ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ოთარ შენგელიამ ამ დღეებში საგანგებო პრეს-კონფერენციაც მოიწვიეს, სადაც შევიტყვეთ, რომ საქართველოს კლუბური ფეხბურთის ფლაგმანის მესვეურებმა საგანგებო წერილით მიმართეს სფფ-ს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ალექსანდრე ჩივაძეს მოთხოვნით მოიწვიოს ფედერაციის რიგგარეშე აღმასკომის სხდომა, სადაც პრინციპულად განიხილავენ მომხდარ ამბავს. ნეტავ რას ფიქრობს ჩივაძე?

ჯემალ ჭიკაშვილი

## «ლელოს» საფეხბურთო ანონსი ● ოქტომბერი

### საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი
#### პირველი ჯგუფი

IX ტური

*2 ოქტომბერი, პარასკევი*
თსუ — ასკ

*3 ოქტომბერი, შაბათი*
კოლხეთი-1913 — სიონი
ოდიში — მეტალურგი
დინამო (ბთ) — მერანი-91
ვიტ-ჯორჯია — დინამო (თბ)
იბერია — სამგურალი
ტორპედო — გურია

*4 ოქტომბერი, კვირა*
ლოკომოტივი — დილა

X ტური

*17 ოქტომბერი, შაბათი*
დილა — ტორპედო
სამგურალი — ლოკომოტივი
დინამო (თბ) — იბერია
მეტალურგი — დინამო (ბთ)
სიონი — ოდიში
თსუ — კოლხეთი-1913

*18 ოქტომბერი, კვირა*
მერანი-91 — ვიტ-ჯორჯია

*19 ოქტომბერი, ორშაბათი*
ასკ — გურია

XI ტური

*24 ოქტომბერი, შაბათი*
კოლხეთი-1913 — ასკ
ოდიში — თსუ
იბერია — მერანი-91
ლოკომოტივი — დინამო (თბ)
ტორპედო — სამგურალი
გურია — დილა

*25 ოქტომბერი, კვირა*
დინამო (ბთ) — სიონი
ვიტ-ჯორჯია — მეტალურგი

XII ტური

*31 ოქტომბერი, შაბათი*
სამგურალი — გურია
დინამო (თბ) — ტორპედო
მეტალურგი — იბერია
სიონი — ვიტ-ჯორჯია
კოლხეთი-1913 — ოდიში

#### მეორე ჯგუფი
##### დასავლეთი ზონის „ა“ ქვეჯგუფი

VII ტური

*4.X, კვირა*
იმერეთი — საირმე
გაგრა — მეშახტე
ტორპედო 2 — მარგვეთი
სულორი — მაღაროელი
რაჭა — ჩიხურა
იბერია 2 — რიონი

*5.X, ორშაბათი*
ოკეანე — სამგურალი 2

VIII ტური

*16.X, პარასკევი*
საირმე — სამგურალი 2
რიონი — ოკეანე
ჩიხურა — იბერია 2
მეშახტე — ტორპედო 2

*17.X, შაბათი*
მაღაროელი — რაჭა
მარგვეთი — სულორი
იმერეთი — გაგრა

IX ტური

*22.X, ხუთშაბათი*
ოკეანე — ჩიხურა

*23.X, პარასკევი*
გაგრა — საირმე
ტორპედო 2 — იმერეთი
სულორი — მეშახტე
რაჭა — მარგვეთი
იბერია 2 — მაღაროელი
სამგურალი 2 — რიონი

X ტური

*30.X, პარასკევი*
საირმე — რიონი
მაღაროელი — ოკეანე
მეშახტე — რაჭა
გაგრა — ტორპედო 2
ჩიხურა — სამგურალი 2
მარგვეთი — იბერია 2
იმერეთი — სულორი

##### დასავლეთი ზონის „ბ“ ქვეჯგუფი

VII ტური

*4.X, კვირა*
ენგური — ფაზისი
სამეგრელო — მერცხალი
ეგრისი — კოლხეთი
შუქურა — ბახმარო
კოლხეთი 2 — კოლეჯი
სალხინო — ოდიში 2

VIII ტური

*16.X, პარასკევი*
კოლეჯი — სალხინო
ბახმარო — კოლხეთი 2
სქური — ენგური

*17.X, შაბათი*
კოლხეთი — შუქურა
მერცხალი — ეგრისი
ფაზისი — სამეგრელო

IX ტური

*22.X, ხუთშაბათი*
სამეგრელო — სქური
კოლხეთი 2 — კოლხეთი
ოდიში 2 — კოლეჯი

*23.X, პარასკევი*
ეგრისი — ფაზისი
სალხინო — ბახმარო
შუქურა — მერცხალი

X ტური

*30.X, პარასკევი*
ბახმარო — ოდიში 2
კოლხეთი — სალხინო
მერცხალი — კოლხეთი 2
ფაზისი — შუქურა
სქური — ეგრისი
ენგური — სამეგრელო

##### ცენტრალური ზონა

VII ტური

*4.X, კვირა*
იბერია ქ. — მესხეთი
ვარძია — ივერია
დინამო 2 — ცხუმი

*5.X, სამშაბათი*
დილა 2-ს.კ. იბერია

VIII ტური

*16.X, პარასკევი*
მესხეთი — ქინერი
საუ-თორი
ივერია — დინამო 2
ს.კ. იბერია — ვარძია
ლოკომოტივი 2 — დილა 2
იბერია ქ. ცხინვალი

*18.X, კვირა*
ცხუმი — განთიადი

IX ტური

*22.X, ხუთშაბათი*
დილა 2 — იბერია ქ.
ვარძია — ლოკომოტივი
დინამო 2 — ს.კ. იბერია
განთიადი — ივერია

*23.X, პარასკევი*
ცხინვალი — მესხეთი
თორი — ცხუმი
ქინერი — საუ

X ტური

*30.X, პარასკევი*
მესხეთი — საუ
ს.კ. იბერია — განთიადი
ლოკომოტივი 2 — დინამო 2

*31.X, შაბათი*
ცხუმი — ქინერი
ივერია - თორი
იბერია ქ. ვარძია
ცხინვალი — დილა 2

##### აღმოსავლეთის ზონა

*1.X, ხუთშაბათი*
შსს აკადემია — ალაზანი

VII ტური

*4.X, კვირა*
იბერია — მრეტები
ალგეთი — შსს აკადემია
ლარწყალი — ჰაბუკიანი

*5.X, ორშაბათი*
დინამო 3 — ყვარელი
ალაზანი — არსენალი 2
ხალიბი — კახეთი
შავნაბადა — ქანაგკო

VIII ტური

*15.X, ხუთშაბათი*
იბერია — დინამო 3

*16.X, პარასკევი*
მრეტები — ქანაგკო
კახეთი — ლარწყალი
არსენალი 2 — ალგეთი
ყვარელი — ალაზანი

*17.X, შაბათი.*
ჰაბუკიანი — შავნაბადა
შსს აკადემია — ხალიბი

IX ტური

*22.X, ხუთშაბათი*
ლარწყალი — შსს აკადემია
ალგეთი — ყვარელი

*23.X, პარასკევი*
დინამო 3 — მრეტები
ალაზანი — იბერია
ხალიბი — არსენალი 2
შავნაბადა — კახეთი
ქანაგკო — ჰაბუკიანი

X ტური

*29.X, ხუთშაბათი*
მრეტები — ჰაბუკიანი
კახეთი — ქანაგკო
დინამო 3 — ალაზანი

*30.X, პარასკევი*
არსენალი 2 — ლარწყალი
შსს აკადემია — შავნაბადა
ყვარელი — ხალიბი

### საქართველოს თასის IX გათამაშება

*9, 13, 28 ოქტომბერი*

### ევროპის საკლუბო ტურნირები

*20.X, სამშაბათი*
უეფას თასი.
1/16 ფინალის პირველი მატჩები

*22.X, ხუთშაბათი*
თასების მფლობელთა თასი.
1/16 ფინალის პირველი მატჩები

*21.X, ოთხშაბათი*
ჩემპიონთა ლიგა
ოლიმპიაკოსი — აიაქსი
პორტუ — კროაცია
რუსენბორგი — გალათასარაი
ატლეტიკო — იუვენტუსი
ინტერი — სპარტაკი
რეალი — შტურმი
ბაიერნი — ბარსელონა
ბრონდბიუ — მანჩესტერი
არსენალი — დინამო
ლანსი — პანათინაიკოსი
ჰიკ — ბენფიკა
ეინდჰოვენი — კაიზერსლაუტერნი

### ევრო-2000
#### შესარჩევი ტურნირი

*10.X, შაბათი*
დანია — უელსი
იტალია — შვეიცარია
ალბანეთი — საბერძნეთი
სლოვენია — ნორვეგია
ლატვია — საქართველო
თურქეთი — გერმანია
ჩრდ. ირლანდია — ფინეთი
ანდორა — უკრაინა
სომხეთი — ისლანდია
რუსეთი — საფრანგეთი
პოლონეთი — ლუქსემბურგი
ინგლისი — ბულგარეთი
კვიპროსი — ავსტრია
სან-მარინო — ისრაელი
პორტუგალია — რუმინეთი
ლიხტენშტეინი — სლოვაკეთი
აზერბაიჯანი — უნგრეთი
მალტა — ხორვატია
იუგოსლავია — ირლანდია
ბოსნია — ჩეხეთი
ლიტვა — ფარერები
შოტლანდია — ესტონეთი

*14.X, ოთხშაბათი*
უელსი — ბელარუსი
შვეიცარია — დანია
ნორვეგია — ალბანეთი
საბერძნეთი — საქართველო
სლოვენია — ლატვია
მოლდოვა — გერმანია
თურქეთი — ფინეთი
უკრაინა — სომხეთი
საფრანგეთი — ანდორა
ისლანდია — რუსეთი
ლუქსემბურგი — ინგლისი
ბულგარეთი — შვედეთი
სან-მარინო — ავსტრია
ისრაელი — ესპანეთი
ლიხტენშტეინი — აზერბაიჯანი
უნგრეთი — რუმინეთი
სლოვაკეთი — პორტუგალია
ირლანდია — მალტა
ხორვატია — მაკედონია
ლიტვა — ბოსნია
შოტლანდია — ფარერები
ჩეხეთი — ესტონეთი

*შენიშვნა: ახალგაზრდული ნაკრებების მატჩები გაიმართება წინა დღით.*

(პირველი გვერდიდან)

ვრთნელები, ფეხბურთელები და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი მეტოქეებიც.

ბათუმის „დინამოსთან“ მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ თბილისური კლუბის ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს, მთავარ მწვრთნელს მურთაზ ხურცილავას. მათი აზრით, ჯერ კიდევ არის შანსი ვიბრძოლოთ შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. რევანშის ასაღებად ბიჭები მზად არიან, თუმცა ეს ძალიან ძნელად გასაკეთებელი საქმე იქნებაო. ჰოლანდიელთა გუნდის მთავარი მწვრთნელს ქო ადრიაანსეს მიაჩნია, რომ „დინამოს“ აქვს პოტენციური შესაძლებლობა მიაღწიოს წარმატებას, მითუმეტეს „საკუთარ მინდორზე თამაშობს. უნდა ვეცადოთ პირველ 20 წუთში გოლი არ გავუშვათ, თორემ მერე მასირებული შეტევების გაძლება მოგვიწევს“. და მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელები, თურმე, სულაც არ აპირებენ დაცვითი ტაქტიკის არჩევას, რადგან ისინი შემტევი სტილის მიმდევრები ყოფილან. „ვილემ-II“-ის პრეზიდენტის იან ვულინგსის განცხადებით, ჰოლანდიელებმა პირველ მატჩში წარმატებას იმიტომ მიაღწია, რომ ქო ადრიაანსემ სწორი ტაქტიკა აირჩია — ოთხი თავდამსხმელით დღეს მსოფლიოში ცოტა ვინმე თუ თამაშობს. თბილისშიც სამ კაცზე ნაკლები შეტევაში არ გვეყოლებაო.

მაშ ასე, თუ მეტოქე გუნდების მესვეურებს დავუჯერებთ, ისინი დღეს შემტევ ფეხბურთს ითამაშებენ, მაყურებელსაც ეს უნდა და კიდევ, რაც მთავარია, საყვარელი გუნდის ზეობა სურს. ეგებ მოხდეს სასწაული?

## უეფას თასი
### 1/32 ფინალის განმეორებითი მატჩი

# მიგოვებული წვევამდელები

(მეორე გვერდიდან)

მო სპარტაკიადაზე ქალაქის 10 რაიონის ნაცვლად წარმოდგენილი იყო 8. თითოეულში 10-10 წვევანდელი იბრძოდა 100 მეტრზე რბენაში, ყუმბარის ტყორცნაში, მძლეოსნურ კროსში, 50 მ-ზე ნებისმიერი სტილით ცურვასა და პნევმატური შაშხანის სროლაში.

სპარტაკიადის შედეგები ასეთია: ქულათა დიდი უპირატესობით – 1070 უძლიერესის სახელი შეინარჩუნა დიდუბის რაიონის გუნდმა. საგულისხმოა, რომ I-VI ადგილებზე იქაური წვევამდელები დამკვიდრდნენ. მეორე ადგილი ერგო ჩუღურეთის ნაკრებს – 770, მესამეზეა ვაკის რაიონი – 743.

პირად პირველობაში გაიმარჯვა პაატა ჩოხელმა – 167 ქულა, შემდეგ მოდიან მისი თანაგუნდელები ნოდარ გოლუბინი – 146, და ლაშა უჩანეიშვილი – 129. თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ მათთან ერთად დააჯილდოვა საპრიზო ადგილებზე გასული რაიონების სამხედრო კომისრებიც შალვა ღაღანიძე, კახაბერ ტატიშვილი, ომარ გოგიჩაიშვილი, აგრეთვე რაიონული სპორტკომიტეტების თავმჯდომარეები ნუხა გაგოშიძე, ომარ ჩხაიძე, გიორგი დარჩია.

წინაა წვევანდელთა რესპუბლიკური სპარტაკიადა, საინტერესოა როგორ დაინტერესებას გამოიჩენენ უწყებები, რომელზეც ზემოთ ითქვა?

ჯ. უნგიაძე

# ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში ფიბა-ს ახალი წესებით დაიწყება

(პირველი გვერდიდან)

**ა)** თუ ჯარიმა შესრულდა მოთამაშის მიმართ, რომელიც არ იმყოფებოდა სროლის პროცესში, ინიშნება ორი სროლა,

**ბ)** თუ ჯარიმა შესრულდა მოთამაშის მიმართ, რომელიც იყო სროლის პროცესში და ბურთი ჩავარდა, ინიშნება ერთი სროლა,

**გ)** თუ ჯარიმა შესრულდა მოთამაშის მიმართ, რომელიც იყო სროლის პროცესში და ბურთი არ ჩავარდა კალათში, ინიშნება 2 ან 3 საჯარიმო გდება, იმისდა მიხედვით მოედნის რომელი ნაწილიდან ხორციელდებოდა ტყორცნა.

რედაქციისაგან: მე-4 პუნქტი, ახალ წესებში, შეტანილია მ. ქურიძის წინადადებით, რომელიც მან FIBA-ს ტექნიკურ კომისიას მიაწოდა ჯერ კიდევ 12 წლის წინათ.

## გაიმართა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის სხდომა

კოლეგიამ 1999 წლის ეროვნული ჩემპიონატის მთავარ მსაჯად დაამტკიცა ეროვნული კატეგორიის მსაჯი ნოდარ დარახველიძე (სოხუმი), მოადგილედ ეროვნული კატეგორიის მსაჯი ა. მეგრელაძე, მთავარ მდივნად – ე. აზიზოვა (თბილისი), ასევე დამტკიცდა კომისიების, მსაჯების და მდივნების შემადგენლობა.

კოლეგიამ დაამტკიცა მატჩის კომისრის ანგარიშის ფორმა, რომელსაც საფუძვლად დაედო „ფიბა“-ს მიერ მიღებული ახალი ფორმა.

კოლეგიამ ეროვნული კატეგორიის არბიტრის წოდება მიანიჭა ქუთაისელ დავით ბერეკაშვილს და თბილისელი ლაშა თოიძეს.

მურმან ქურიძე,
მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე, საერთაშორისო არბიტრი

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ნაკრების დატოვებას აპირებს

გამოჩენილმა ნახევარმცველმა შტეფან ეფენბერგმა გამოაცხადა რომ აღარ სურს ნაკრებში თამაში, რომელსაც იგი ოთხწლიანი „პაუზის“ შემდეგ ამას წინათ დაუბრუნდა. ეს ცნობა უსიამოვნო აღმოჩნდა ნაკრების ახალ მწვრთნელ ერიხ რიბეკისათვის. იგი დაუყოვნებლივ ეწვია ეფენბერგს და მის ცოლს მარტინას, რომელიც ფეხბურთელის მენეჯერის ფუნქციებს ასრულებს და ნახევარმცველს სთხოვა ნუ დატოვებს ნაკრებს.

– მესმის, რომ შტეფანს სამი შვილი ჰყავს, და, გარდა ამისა, მასზე „ბაიერნში“ ზეწოლას ახდენენ. მაგრამ მაინც ავუხსენი შტეფანს ჩემი პოზიცია და ვთხოვე განაგრძოს თამაში ეროვნულ ნაკრებში. ჩემთვის ძნელი იქნება შევაცვლევინო მას ადრინდელი გადაწყვეტილება, მაგრამ, ვფიქრობ, არის შესაძლებლობა, რომ მან განაგრძოს ნაკრებში გამოსვლა.

## რ. ბაჯო იოლად გადარჩა

მილანის „ინტერის“ ერთ-ერთი ლიდერი რობერტო ბაჯო ავტოკატასტროფაში მოჰყვა, მაგრამ იოლად გადარჩა, მისი „მერსედესი“ კი დაზიანდა.

რობერტო შინ, ქ. პავიას გარეუბანში მიემგზავრებოდა, სატვირთო მანქანა გზიდან გადმოვიდა და მის „მერსედესს“ დაეჯახა.

## მილუტინოვიჩი კლუბის მწვრთნელი გახდა

აშშ-ს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბორა მილუტინოვიჩი კვლავ ამ ქვეყანაში დაბრუნდა, თუმცა ამჯერად კლუბის ხელმძღვანელად. იგი სათავეში ჩაუდგა „ნიუ-იორკ – ნიუ-ჯერსი


ბორა მილუტინოვიჩი

მეტროსტარზს“. ამ კლუბს ახლა მძიმე კრიზისი აქვს, უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში უკვე 5 მწვრთნელი გამოიცვალა.

ბორა მილუტინოვიჩი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია ნაკრებებთან წარმატებითი მუშაობით. 1986 წლის ჩემპიონატში იგი მექსიკელებს ხელმძღვანელობდა, 1990 წელს – კოსტარიკელებს, 1994 წელს – აშშ-ს ნაკრებს, 1998 წელს – ნიგერიელებს.

ეროვნებით სერბი ბორა მილუტინოვიჩი 54 წლისაა.

## უჩვეულო პრეს-კონფერენცია

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა უჩვეულო პრეს-კონფერენცია გამართა... ინტერნეტის ქსელით. იგი მთელი საათის განმავლობაში უპასუხებდა ქსელში ჩართულ გულშემატკივრებს.

პრეზიდენტის აზრით, საფრანგეთის, რუსეთისა და უკრაინის ნაკრებებს ევროპის შესარჩევ ჯგუფში გამარჯვების თანაბარი შესაძლებლობები აქვთ, ახლა კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება 10 ოქტომბრის შეხვედრას მოსკოვში – რუსეთსა და საფრანგეთს შორის.

## „დრუჟბის“ ორდენი – ვერეტენიკოვს

რუსეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით ვოლგოგრადის „როტორის“ ცნობილი ფეხბურთელი ოლეგ ვერეტენიკოვი დაჯილდოებულია „დრუჟბის“ ორდენით. შარშან, პირველმა რუსეთის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთაგან, ვერეტენიკოვმა გაიტანა 100 ბურთი, ახლა კი 19 გოლით სნაიპერთა შორის კვლავ პირველ ადგილზეა.

## როცა დინო ძოფს ჰკითხეს...

...რა აზრისაა იტალიის ნაკრების ახლანდელ თამაშზე?

– რა თქმა უნდა, გუნდი ძალიან შორს არის იდეალისაგან, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ სეზონი იტალიაში ეს-ეს არის დაიწყო. რაც შეეხება მთავარს ამ სიტუაციაში, ეს მოგებაა. თუმცა თამაშის ხარისხიც ურიგო არ არის.

## ფრანგებმა ქალების პატივისცემა იციან

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა საზეიმო საღამო მიუძღვნას იმ ფრანგ გულშემატკივარ ქალებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მსოფლიო ჩემპიონატში ქვეყნის ნაკრების გამარჯვებას.

ამ მიზნით 14 ოქტომბერს „სტად დე ფრანსზე“, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ევროპის პირველობაზე საფრანგეთისა და ანდორის ნაკრებები, 9 ათასი ქალი ცალკე ტრიბუნაზე მოთავსდება. თითოეულს გადასცემენ ვარდსა და საჩუქარს.

## გულიტი აფასებს კანუს და დათმობს... შირერს?!

რუუდ გულიტმა „ნიუკასლს“ განუცხადა, რომ „ნიუკასლში“ საჭიროა „წმენდა“ მოეწყოს. ზოგი ფეხბურთელი უნდა გაიყიდოს, რათა შეიძინონ ახლები. არ არის გამორიცხული თვით ალან შირერის გაყიდვა, რომლის ფასი როგორც მინიმუმი 20 მილიონი გირვანქა სტერლინგია (34 მილიონი დოლარი).

ამ იდეით დაინტერესდა მილანის „ინტერი“. თუ ინგლისელი „ინტერში“ გადავიდა, მაშინ იქ რონალდო-შირერის უძლიერესი დუეტი შეიქმნება.

შესაძლო კომპენსაციად „ნიუკასლში“ „ინტერისა“ და ნიგერიის ნაკრების თავდამსხმელ ნვანკო კანუს განიხილავენ, რომელსაც გულიტი ძალიან აფასებს.

## ინგლისელებმა გააუქმეს გადათამაშება

ინგლისის თასის 127-წლიან ისტორიაში თასის ფინალში პირველად უქმდება გადათამაშება. მომავალი წლის 22 მაისს თუ ძირითად დროში თანაბარი ანგარიში აღინიშნა, დაინიშნება დამატებითი დრო, შემდეგ კი პენალტების სერია.

ტრადიციიდან გადახვევის მიზეზი კი ასეთია: თასის ფინალის მეორე დღეს, 23 მაისს უნდა გაიმართოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური შეხვედრა. შესაძლოა, აქამდე რომელიმე ინგლისურმა კლუბმა „არსენალმა“ ან „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მიაღწიოს, მაშინ მას ერთ დღეს ორ ფრონტზე თამაში მოუხდებოდა.

ინგლისის თასისა 117 ფინალიდან გადათამაშდა 14 შეხვედრა.

## დანაშაული და სასჯელი

რუსეთის პროფესიულმა საფეხბურთო ლიგამ მკაცრი სანქციები მიიღო პირველ დივიზიონში მოასპარეზე ნალჩიკის „სპარტაკის“ მიმართ. ეს ჯარიმები „სპარტაკისა“ და ტულის „არსენალის“ მატჩს მოჰყვა, როდესაც ვაიგულშემატკივრებმა სცემეს მთავარ არბიტრ ნიკოლაი ივანოვს. „სპარტაკი“ 10 ათასი რუბლით დაჯარიმდა, ნალჩიკის სტადიონი კი 5 მატჩითაა დისკვალიფიცირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ სეზონის ბოლომდე „სპარტაკი“, რომელსაც მეორე დივიზიონში გადასვლა ემუქრება, საკუთარ სტადიონზე ველარ ითამაშებს.

ნალჩიკის „სპარტაკის“ სათადარიგო მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძემ თამაშის დროს თანამსაჯ სერგეი ფურსას გაარტყა, იგი სამუდამოდ არის დისკვალიფიცირებული.

# ფიქრები ფეხბურთის მომავალზე

## გუუს ჰიდინკი (ჰოლანდია)

მისი ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრებმა ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა. ახლა მადრიდის „რეალს“ უდგას სათავეში.

– არ დაგიმალავთ, ძალიან მსიამოვნებს, როცა ახლა, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, ლაპარაკობენ „ლამაზ ჰოლანდიურ ფეხბურთზე“. ჩვენს თამაშს უკვე ჩემპიონატის მსვლელობისას აქებდნენ. გულშემატკივრები მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიგზავნიდნენ ფაქსს, მხარდაჭერას მიცხადებდნენ და მომიწოდებდნენ ბოლომდე გავყოლოდი საკუთარ სტილს. ჩვენ შევუსრულეთ ეს სურვილი და ამით ვამაყობთ კიდეც, თუმცა, სამწუხაროდ, ნახევარფინალში დავმარცხდით და შეჯიბრებას გამოვეთიშეთ.

რითი გამოირჩევა ჩვენი სტილი სხვებისაგან? მთავარი ის გახლავთ, რომ ნებისმიერი ჰოლანდიელი ცდილობს, რათა მისი თამაში მიმზიდველად გამოიყურებოდეს. გულშემატკივრებს სპექტაკლის ნახვა სურთ. ჰოლანდიაში არ იწონებენ ისეთ თამაშს, სადაც ყველაფერი შედეგის მოტანას ეწირება. ადრე ბევრი გვაკრიტიკებდა იმისათვის, რომ გარეგნულ სილამაზეს მეტისმეტად მივდევდით და ეს შედეგზე უარყოფითად მოქმედებდა. ჩვენც ვისწავლეთ: ახლა სილამაზეც გვაქვს და შედეგიც.

ფეხბურთი მხოლოდ იმ შემთხვევა-


გუუს ჰიდინკი

ში შეიძლება იყოს ლამაზი, როცა მოთამაშეები საკმაოდ ტექნიკურები არიან და ტაქტიკის სფეროშიც სათანადოდ განსწავლულნიც. ჰოლანდიაში ნორჩ ფეხბურთელებს ისეთნაირად არჩევენ, რომ სწორედ ეს თვისებები განუვითარონ. მოთამაშეებს ბავშვობიდანვე ასწავლიან მინდორზე აზროვნებას. გარდა ამისა, მას კომბინაციური, შეტევითი თამაშისაკენ მისწრაფების გრძნობასაც უნვითარებენ. როცა ნიჭიერმა ფეხბურთელმა არ იცის, რა არის „ჯოხის დისციპლინა“, მას უძლიერდება გუნდის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა არა მარტო ორთაბრძოლის წარმოებისას, არამედ გადაწყვეტილების მიღების დროსაც. გარდა ამისა, მან გადაწყვეტილება დამოუკიდებლად უნდა მიიღოს, რაც ფეხბურთელს ტაქტიკურ ალღოსა და იმპროვიზაციისაკენ მიდრეკილებას უნვითარებს, აგრეთვე უნივერსალიზმსაც. მოთამაშის ასეთნაირად მომზადების პროდუქტსაც დავასახელებდი: ფილიპ კოკუს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის მსვლელობისას იგი ხან მეორე თავდამსხმელის როლს ასრულებდა, ხან მარცხენა ნახევარმცველი იყო, ხან კი ნუმანს ცვლიდა დაცვაში.

## ნევიო სკალა (იტალია)

ცნობილი სპეციალისტი ნევიო სკალა, „პარმასა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ ედგა სათავეში, იგი ტაქტიკის დიდ მცოდნედ ითვლება.

– რა დასკვნა უნდა გამოიტანოს გერმანულმა ფეხბურთმა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატიდან? ყოველ შემთხვევაში, ჩემი თანამემამულეების – იტალიელების გაკვეთილი უნდა გაითვალისწინოს. იმას, რაც „სკუადრა აძურამ“ საფრანგეთში უჩვენა, ფეხბურთის თამაში არა ჰქვია, უფრო მეტიც, საერთოდ თამაშიც არა ჰქვია, თუნდაც შედეგის მისაღწევად (ჩეზარე მალდინის საყვარელი გამოთქმაა). სამწუხაროდ, გერმანელებს, ისევე, როგორც იტალიელებს, არ ეყოთ თამაშში სითამამე. არ არის საკმარისი მხოლოდ რეაგირება მეტოქის მოქმედებაზე, გადაადგილება წინასწარ დამუშავებული სქემის მიხედვით. საჭიროა შტამპების თავიდან აცილება, შემოქმედება მინდორზე. ასე თამაშობდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე ჰოლანდიელები, ან ინგლისელები, რომელთა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა უარი თქვა ადრე ინგლისელებისათვის ტიპურ სქემაზე „მაღლა – უფრო შორს – წინ“ (ამას სხვანაირად „ურტყი და ირბინე“ ჰქვია). ახლა ინგლისელებისათვის უფრო დამახასიათებელია მოკლე გადაცემები და შუა ხაზზე ადგილების ცვლა.

რა აჩვენა საფრანგეთში გერმანიის


ნევიო სკალა

ნაკრებმა? მან აირჩია ტაქტიკა ლიბეროთი ორი მოთამაშის მცველით, რომლის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ გუნდური ურთიერთქმედება არ იყო სათანადოდ ორგანიზებული, არც ტექნიკური არსენალი იყო მდიდარი. ამ მოთამაშეებზე, რომლებიც ბერტი ფოგტსმა ნაკრების დაკომპლექტებისას შეარჩია, თანამედროვე ფეხბურთში რაიმე მოთხოვნილება არ არის. დღეისათვის საჭირო არიან პროფესიონალები, რომლებსაც ბურთით ყველაფრის გაკეთება შეუძლიათ და რომლებიც არასტანდარტულ გადაწყვეტილებებს იღებენ.

ფოგტსს არც დეშამისა და დავიდსის ტიპის მოთამაშეები ჰყავდა, არც თავისი ზიდანი, ყველა ნახევარმცველს, უკლებლივ, აკლდა სათამაშო ფანტაზია. უამისოდ თამაში რაიმე დადებითის, შემოქმედებითის შექმნა განწირული იყო.

უპირველეს ყოვლისა, გერმანიის ახლანდელ ნაკრებს კარგი პლეიმეიკერი სჭირდება. ისეთი, მაგალითად, როგორიც პაულუ სოუზაა, რომელიც „თვალდახუჭული კითხულობს“ თამაშს. ანდრეას მიოლერი, ძალიანაც რომ მოინდომოს, ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს წინ, მარჯვნივ თუ მარცხნივ – აი ყველაფერი, რაც კი მას შეუძლია, მეტი შემოქმედების ნიჭი უკვე აღარა აქვს. უმიზნოდ ჯოხის ქნევა კი დირიჟორის როლის შესრულებას არ ნიშნავს.

## პროფესიული კრივის სამყაროში



პროფესიულ კრივში რისკიანი გზაა წარმატებებისაკენ, მაგრამ რაკი გადაწყვიტა და პირველი ბრძოლა უკვე გადაიტანა, ახლა მეორე შერკინებისთვის მოემზადა ჩვენი სწორუპოვარი მოკრივე მძიმეწონოსანი გიორგი კანდელაკი და ეს პაექრობა მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამთავრა თავის ახალგაზრდა მეტოქესთან მოყვარულებში ამერიკის ჩემპიონთან (გვარი ჯერჯერობით არ ვიცით).

ეს შეხვედრა ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთში, კონექტიკუტის შტატის ადმინისტრაციულ ქალაქ ჰარტფორდში გაიმართა.



## ფორმულა-1: ფინელი კვლავ წინ გაიჭრა

როცა ლუქსემბურგის დიდი პრიზისწინა კვალიფიკაციაზე „ფერარის" პილოტებმა აშკარა უპირატესობით გაიმარჯვეს, „მაკლარენის" რიგებში დაბნეულობამ დაისადგურა, თუმცა ჰაკინენი და მისი რაზმი მალე მოეგენ გონს და მეორე დღეს ძირითად რბოლაში ძალთა კონცენტრაცია მოახერხეს. აღსანიშნავია, რომ „მაკლარენის" ლიდერს იმ დღეს 30 წელი შეუსრულდა და მან ამ იუბილესათვის მშვენიერი საჩუქარი გაიკეთა, აჯობა რა თავის ძირითად მეტოქეს, გერმანელ მიხაელ შუმახერს. ამრიგად, პირად ჩათვლაში ჰაკინენი კვლავ წინ გაიჭრა. მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ეტაპი იაპონიაში გაიმართება.

***ლუქსემბურგის დიდი პრიზი:*** 1. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „მაკლარენი"), 2. მიხაელ შუმახერი (გერმანია, „ფერარი"), 3. დევიდ კულჰარდი (ბრიტანეთი, „მაკლარენი"). ***პირადი ჩათვლა*** (ბოლო ეტაპის წინ): 1. ჰაკინენი — 90 ქულა, 2. მ. შუმახერი — 86, 3. კულჰარდი — 52. ***გუნდური ჩათვლა:*** 1. „მაკლარენი" — 142, 2. „ფერარი" — 127, 3. უილიამსი" — 35.

# ელისტას ოლიმპიადაზე

დღეს პირველი ტური

GENS UNA SUMUS

## ვინ არის მთავარი პრეტენდენტი?

**ეს კითხვა ქალებს არ ეხება. არავინ დავობს, რომ ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები, როგორც ყოველთვის, ქართველი დიდოსტატები არიან, აი, ვაჟებში კი მდგომარეობა ბუნდოვანი გახდა.**

**საქმე ის არის, რომ ზედიზედ სამი წამყვანი მოჭადრაკის: გარი კასპაროვის, ანატოლი კარპოვისა და ვლადიმერ კრამნიკის უარმა წინა საჭადრაკო ოლიმპიადებში გამარჯვებული რუსეთის ნაკრები, ბუნებრივია, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა.**

**ახლა რუსეთის ნაკრებში გამოდიან პეტრე სვიდლერი (პეტერბურგი), ევგენი ბარეევი, ალექსანდრ მოროზევიჩი, ვადიმ ზვიაგინცევი (სამივე — მოსკოვი), კონსტანტინ საკაევი (პეტერბურგი) და სერგეი რუბლევსკი (ყაზანი). გარდა ამისა, რუსეთს ჰყავს მეორე ნაკრებიც. აქ თამაშობენ ალექსეი დრეევი, რუსეთის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის მიხეილ ქობალია (ორივე — მოსკოვი), ვალერი ფილიპოვი (კემეროვო), სერგეი ვოლკოვი (სარანსკი) და ანდრეი შარიაზდანოვი (ეკატერინბურგი).**

### რახან კედლები არ გაშრა

რახან სატურნირო დარბაზებში შეღებილი კედლები სათანადოდ არ გაშრა, და ამასთან ზოგი ნაკრებიც დროულად არ ჩამოვიდა ამიტომ ოლიმპიადის დაწყება მცირე ხნით გადაიდო და პირველი ტური მხოლოდ დღეს გაიმართება. ეს მონაწილეებს ელისტას ეგზოტიკურ პირობებთან უკეთ შეგუების საშუალებას მისცემს. ამასობაში კი ყალმუხეთის დედაქალაქში ვინ აღარ მოიყარა თავი. აქ ჩავიდნენ ზამბიიდან და უგანდიდან, კატარიდან და მონღოლეთიდან, იამაიკიდან და მალტიდან...

### კონგრესს დიდი ამბით ელიან

**ოლიმპიადის მიმდინარეობის დროს იქ უნდა გაიმართოს საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის კონგრესი. მთავარი საკითხი იქნება ფიდეს პრეზიდენტის არჩევა. მთავარი პრეტენდენტი ისევ კირსან ილიუმჟინოვი იქნება, თუმცა ვინ იცის, პრეზიდენტობა სხვებსაც სურთ. ილიუმჟინოვმა ჭადრაკისათვის უკვე ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ვერაფერი საქმეა კასპაროვისა და კარპოვის აშკარა ოპოზიციაში ყოფნა. მათ ხომ დიდი „დამანგრეველი" ძალა აქვთ.**

**კონგრესმა დიდოსტატის წოდება უნდა მიანიჭოს ჩვენს ნიჭიერ ქალიშვილს ბათუმელ დიანა დარჩიას, რომლისთვისაც ეს სეზონი მართლაც ბრწყინვალე აღმოჩნდა.**

### «ელისტაში რა ჩამიყვანს!»

ყოფილი პეტერბურგელი დიდოსტატი გენადი სოსონკო კარგა ხანია ჰოლანდიაში ცხოვრობს. იგი ბევრს თამაშობს და ამ ქვეყნის ნაკრების უცვლელი კაპიტანია. ასე იყო მანილის, მოსკოვისა და ერევნის ოლიმპიადაში.

ახლა კი სოსონკომ ელისტაში ჩასვლაზე უარი განაცხადა. რატომ? იგი ორი თვის წინათ ყოფილა ამ ქალაქში და მასზე ძალზე ცუდი შთაბეჭდილება დაუტოვებია „ილიუმჟინოვის კულტს". ყველგან მისი სურათებია გამოკიდებული, ყველგან მას აქებენ და ადიდებენ. ასეთი ხოტბა კი სოსონკოსათვის საერთოდ მიუღებელია.

## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*27 სექტემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეორე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია: **11. 15. 27. 29. 38. 42**

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.

5 ციფრი – საპრიზო ფონდი 509.25 გადავიდა მომდევნო ტირაჟში.

4 ციფრი – 12.50 ლარი.

3 ციფრი – 1.80 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 55.926 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **6. 7. 0. 4. 5. 9. 8.**

**შემდეგი** ტირაჟი შედგება 4 ოქტომბერს, ჯეკ-პოტი **55.926** ლარი.

***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## ტრისტან ნოზაძე



**46 წლის ასაკში წავიდა ამქვეყნიდან წლების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრი, ჩვენი ქვეყნის ორგზის ჩემპიონი, მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, სსრკ მეორე ნაკრების წევრი, ქ. რუსთავიდან პირველი სპორტის ოსტატი ფარიკაობაში ტრისტან ნოზაძე.**

**ფარიკაობას რუსთავში ყმაწვილობიდან ეზიარა გიორგი დავითიანის ხელმძღვანელობით. დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი, მუშაობდა მწვრთნელად თავისავე ქალაქში, ზრდიდა მომავალ მუშკეტერებს, მისი შეგირდები ხშირად გამოდიოდნენ საქართველოს პირველობებში და იკავებდნენ საპრიზო ადგილებს. ნიჭიერი პედაგოგის, გულისხმიერი მეგობრის და შესანიშნავი პიროვნების ტრისტან ნოზაძის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება მის ახლობლების, მეგობრების, აღსაზრდელების, კოლეგების გულებში.**

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია




**29 სექტემბერი. სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. უეფას თასის 1/32 ფინალი: „დინამო" (თბილისი) – „ვილემ-II" (ტილბურგი) – 19.25. „ასპარეზი" (21.55). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (0.30). ***HTB.*** საფეხბურთო კლუბი (0.40). ***REN TV.*** სპორტკურიერი (20.45, 0.10). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთის გაკვეთილი (7.05; 15.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (8.15; 19.05). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (10.40). ავტოსპორტი (12.15). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (13.05). ჩოგბურთი (15.55; 22.30). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (20.00). ფეხბურთი. უეფას თასი (20.45). ***CNN.*** საერთაშორისო სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** „ოლიმპიური თამაშები" (10.30; 3.00). ტრიატლონი (11.00). ველოსპორტი (12.00). მოტოსპორტი (13.00). ფეხბურთი. ევროგოლები (14.00; 19.00). ავტოსპორტი (16.00, 21.00). თევზჭერა (17.00). ფეხბურთი. უეფას თასი (23.00; 1.00).

**30 სექტემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომის ტრანსლაციის შესვენებისას). ***II არხი.*** „გოლი" (21.20). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ჰოკეი. ევროლიგა (14.20). ***HTB.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (19.35; 22.35). ჩემპიონთა ლიგის დღიური (1.00). ***REN TV.*** სპორტკურიერი (20.45; 23.45). ***ACT.*** სპორტი ყოველ დღე (21.40) ***HTB плюс спорт.*** ბოდიბილდინგის გაკვეთილი (7.05; 15.10). მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა (7.45). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის მატჩების წინ (11.00). ამერიკული ფეხბურთი (12.35). გოლფი (15.25). ჩოგბურთი (15.55). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „სპარტაკი" (მოსკოვი) – „რეალი" (მადრიდი) 19.05. იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.50). ***CNN.*** საერთაშორისო სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. უეფას თასი (10.30; 12.00; 17.00; 20.00). მოტოსპორტი (14.00). წყლის თხილამურები (14.30). ჩოგბურთი (15.00). მსოფლიო ჩემპიონატი აერობიკაში (22.00). სუმო (23.00).

**1 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. OPT-1.*** ფეხბურთი, თასების თასი: „ლოკომოტივი (მოსკოვი) – ცსკა (კიევი) – 19.00. „სახელგანთქმული მოჭადრაკეები". (23.50). ***HTB.*** ჩემპიონთა ლიგის მატჩების მიმოხილვა (0.40). ***TV6. Москва.*** კალათბურთი. ევროლიგა (20.55). ***REN TV*** „სპორტკურიერი" (20.45; 23.50). ***ACT.*** სპორტი ყოველდღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (7.05). გოლფი (7.45). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (8.15). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: „დინამო" (კიევი) – „ლანსი" (საფრანგეთი) – 9.15; „ინტერი" (იტალია) – შტურმი „(ავსტრია") – 13.55; „ბაიერნი" (გერმანია) – „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) – 21.50. ჩოგბურთი (16.00; 0.30). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (0.00). ***CNN.*** საერთაშორისო სპორტი (10.30; 13.30; 18.30). ***EUROSPORT.*** აფროსნობა (10.30). მშვილდოსნობა (11.00). მძლეოსნობა (12.00). „ფორმულა 3000" (13.00), ფეხბურთი (14.00; 21.00). ავტოსპორტი (15.00; 19.30; 3.00). ცხენოსნობა (17.00). „ოლიმპიური თამაშები" (19.00). ფეხბურთი. უეფას ტურნირები (22.00; 0.00).

**2 ოქტომბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** „ასპარეზი" (21.20). ***II არხი.*** რაგბი (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. HTB.*** საფეხბურთო კლუბი (18.00). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (20.45). ***ACT.*** სპორტი ყოველ დღე (21.40). ***HTB плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (7.05; 15.10). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (8.15). ჩოგბურთი (8.55; 15.55; 21.30). კრივი (13.45; 20.00). ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატები (15.25). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** მოტორბოლა (9.10; 12.30; 13.30; 14.00; 20.00). ფეხბურთი (10.30; 16.00). მოტოსპორტი (15.00; 21.00; 1.00). ჩოგბურთი (18.30). კრივი (23.00). ექსტრემალური სპორტი (3.00).

**3 ოქტომბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (12.15). ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.00). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45; 21.15). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45), ***ევრიკა.*** სპორტული პროგრამა „სტუმარი" (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. PTP.*** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი: „სპარტაკი" – „ტორპედო" (17.00). ***HTB.*** ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (13.00). ***REN TV.*** სპორტული მიმოხილვა (19.15). ***ACT.*** სპორტული პროგრამა (15.30; 20.35). ***HTB плюс спорт.*** „ფიფას ჟურნალი" (8.00). ამერიკული ფეხბურთი (8.30). გერმანიის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.10). ჰოკეი. რუსეთის ჩემპიონატი (12.55). ჩოგბურთი (15.55). ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი (21.20). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (23.45). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** მოტოსპორტი (9.10; 12.30; 13.00; 14.00; 20.00). ექსტრემალური სპორტი (10.30). ავტოსპორტი (16.00; 1.00). ჩოგბურთი (17.00). ტრიატლონი (21.00; 23.30; 0.30; 2.00; 4.00). წყალში ხტომა (0.00).

**4 ოქტომბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩოგბურთელ ქალთა თბილისის საერთაშორისო ტურნირი (12.45). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.45). ***კავკასია.*** „ფეხბურთის ლეგენდები" (15.20). „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია. ORT-1.*** საფეხბურთო მიმოხილვა (16.05). ***REN TV.*** ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატი (15.30). „სპორტკურიერი" (20.45). ***ACT.*** „სპორტი" 14.30; 20,30). ***HTB плюс спорт.*** რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (9.30). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (10.15). ავტოსპორტი (12.15; 0.00) ჩოგბურთი (15.30). იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატი (21.30). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა (23.30). ***CNN.*** სპორტი (10.30; 13.30; 18.30; 1.30). ***EUROSPORT.*** ტრიატლონი (5.00; 11.30). მოტოსპორტი (6.15, 13.00; 2.00). ჩოგბურთი (17.00; 19.20). ავტოსპორტი (21.00; 22.00; 0.00).



## შერეული კროსვორდი

**თარაზულად:** 5. აზიის ქვეყანა, 6. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 8. მინსკის „დინამოს" ფეხბურთელი 60-იან წლებში, 11. წყალსაცავი ტყიბულთან, 14. მორბენლებით განთქმული ქვეყანა, 15. ბასრი იარაღი, 16. ოლიმპიური ჩემპიონი (1964), მოცურავე, 17. ფეხბურთელის წინდა. 21. მონარქიული სახელმწიფო, 22. ინვენტარი სპორტულ თამაშებში, 23. ნალები საზოგადოება და ა.შ. 26. კვირის დღე, 27. რუსეთის საფეხბურთო გუნდი, 28. საავტომობილო რბოლის სახეობა.

**შვეულად:** 1. შეჯიბრება ავტომობილებით, 2. ფოგთსის სახელი, 3. ბარაქა და... 4. მარსელის საფეხბურთო. გუნდი. 7. ტურისტთა თავშესაფარი, 9. გეოგრაფიული მინიშნება მხარეზე, 10. წარსულში ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, 12. მძიმე დაავადება, 13. ძვირფასი ქვა, 18. დანიელი ფეხბურთელი, 19. საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელი, 20. გარკვეული წესით შედგენილი კრებული, 24. ტროპიკული ხე, რომლისგან ამზადებენ შოკოლადს, სასმელს და ა.შ. 25. ლეგენდარული საფეხბურთო მწვრთნელი.

შეადგინა ირინე სიდამონიძემ

წინა ნომერში გამოქვეყნებული ფოტოკროსვორდის პასუხები:

1. კარლ მელოუნი; 2. ?არცხნიდან — სკოტი პიპენი და ჩარლზ ბარკლი; 3. გრანტ ჰილი.

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. ანტიპოვი

(რუსეთი)



**შამათი 3 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. ეa8! და ორი ვარიანტი პაიკების სუსტ ფიგურებად გადაქცევისათვის;**

**1. ...b6 2. cb d5, პატზე თამაშით.**

**3. b7 d4 4. b8კ! მფg8 5. კe5X,**

**1. ...d6 2. cb b5 3. d7 b4**

**4. d8მ! მფg8 5. მe6X.**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე